

ქართული მწერლობის მკვლევარი

ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული სახელია, რადგან მან ქართველ მეცნიერთაგან თავისი თავდადებული სამეცნიერო მოღვაწეობით, ქვეყნისადმი განუვლი უანგარო ამაგით წმინდანის – წმ. ექვთიმე ღმრთისკაცის სახელი დაიმკვიდრა. ქართველმა ხალხმა მას სამართლიანად უწოდა „ისტორიული მეცნიერების რაინდი“ (ნ. ბერძენიშვილი) და „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ (კ. გამსახურდია), რაც ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა და საზოგადო მოღვაწემ რევაზ თაბუკაშვილმა თავისი დოკუმენტური ფილმის სახელწოდებად აიღო.

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა იშვიათი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რადგან იგი ფართო პროფილის ქართველოლოგი იყო. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე, არ ერიდებოდა „შავ სამუშაოს“, არ იყო მხოლოდ კაბინეტში მომუშავე მეცნიერი-მკვლევარი, სამეცნიერო მიზნებით მოიარა თითქმის მთელი საქართველო და ყველგან სიძველეებს ეძებდა, ეძიებდა და პოულობდა კიდეც; მისთვის მთავარი იყო, რომ თავისი წვლილი შეეტანა ქართველოლოგიის განვითარების საქმეში, რის გამოც მის ღვაწლს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი ერის გამოჩენილი შვილები ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი, ხოლო აკაკი წერეთელი მას თავის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ახალგაზრდობაშივე მოპოვებულ დიდ ავტორიტეტს მოწმობს ის ფაქტი, რომ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება აკაკიმ ანდერძით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა, რასაც თვით ექვთიმე თაყაიშვილი თბილი, მსუბუქი იუმორით მოგვითხრობს, რადგან თავიდან ეეჭვებოდა კიდეც აკაკის ანდერძის რეალურობა.

ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი მიზანდასახულობისა და მეცნიერული გატაცებების შესახებ თავად გვიამბო მოგონებებში: „სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი, ეს არ დაიკარგოს, აი, ეს არ წახდეს მეთქი! ვცდილობდი ყველაფერი ამეწერა, გადმომელო, ჩამეხატა. რაც შეიძლებოდა, მეტი გამომეცა, შემეძინა, შემომემატებინა და, საბოლოოდ, მუზეუმი შემექმნა, რომ ის ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შიგ შენახული. ასე მიმდინარეობდა ჩემი მუშაობა ათეული წლების მანძილზე“ (თაყაიშვილი 1968: 380). შემკრებლობითი საქმიანობის შემდეგ მეცნიერს მოპოვებული მასალის ფილოლოგიურ-ლიტერატურ-

რათმცოდნეობითი ანალიზისთვის, დეტალური შესწავლისათვის, მონოგრაფიული დამუშავებისათვის დრო თითქმის არ რჩებოდა, რასაც მისივე სიტყვები მოწმობს: „დრო აღარ მრჩებოდა იმისათვის, რომ ჩავჯდომოდი მოზღვავებულ მასალას და დინჯად მეწერა ნამდვილი გამოკვლევები. ჩემი, როგორც მკვლევრის, ნააზრევი მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას დართულ შესავალსა და კომენტარში მულავნდებოდა უმთავრესად“ (თაყაიშვილი 1968: 380). იგი იმედოვნებდა, რომ მომავალში აღმოჩნდებოდნენ მეცნიერები, რომლებიც მონოგრაფიულად დაამუშავებდნენ ცალკეულ საკითხს. მოგვიანებით აღნიშნა კიდევ, რომ მას ეს იმედი გაუმართლდა. აქვე უნდა ითქვას, რომ საკუთარი სამეცნიერო მემკვიდრეობის მისი ეს შეფასება ზედმეტი მოკრძალებითა და თავმდაბლობით გამოირჩევა, სინამდვილეში ექვთიმე თაყაიშვილმა იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ამას ერთი ადამიანის სიცოცხლე გასწვდებოდა, და ქართველოლოგიურ კვლევათა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ექვთიმე თაყაიშვილი, ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის მრავალმხრივი მკვლევარი და ღრმა მეცნიერი, უპირველეს ყოვლისა, ისტორიკოსი, არქეოლოგი, არქეოგრაფი, ეთნოლოგი, ნუმიზმატი, ფილოლოგიური პრობლემათიკის მკვლევარი, ფოლკლორისტი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს ისტორიულ ადგილებში და კრებდა მასალებს ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროში. მისი მოგზაურობების სამეცნიერო ხასიათის ჩანაწერები შემდგომი კვლევა-ძიების საფუძველი იყო. ამ თვალსაზრისით უაღრესად ფასეულია მისი შრომები: „არქეოლოგიური ექსკურსიები, ძიებანი და შენიშვნანი“, I-V, 1905-1915 წწ.; „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, I-II, 1907-1914 წწ.; „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, 1937 წ., „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, 1938 წ., „არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში 1917 წელს“, 1952 წელს გამოცემული; მის მიერ შედგენილი და გამოცემული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ორტომეული, რომელიც სანიმუშო იყო აღწერილობათა შედგენის პრინციპის გათვალისწინებით; მის მიერ შედგენილი ყოველი ხელნაწერის აღწერილობა ცალკე გამოკვლევაა, რაც აღნიშნული აქვს აკად. ნიკო მარსს.

ექვთიმე თაყაიშვილის ლიტერატურათმცოდნეობითი და ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ თავიანთი შეხედულებები გამოთქვეს კორნელი კეკელიძემ, ალექსანდრე ბარამიძემ, იოსებ მეგრელიძემ, სარგის ცაიშვილმა, გურამ შარაძემ. თუმცა, საკითხი – ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც ქართული მწერლობის მკვლევარი, – მთელი სისრულით შესწავლილი მაინც არ არის.

მან დიდი ღვაწლი გასწია წმ. ნინოს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ შექმნილ თხზულებათა გამოცემების განხორციელებისათვის, კერძოდ, გამო-

აქვეყნა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ახალი რედაქცია 1891 წელს; დიდი დამსახურება მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა აღწერილობების შედგენასა და ცალკეული რუსთველოლოგიური პრობლემათიკის განხილვაში. ამ შრომებში თავმოყრილია ძირითადად ისტორიული და ხუროთმოძღვრული მასალა, რომელთაც ახლავთ ფოტოები, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ ნიგნების მნიშვნელობას ქართველოლოგიური მეცნიერებებისათვის; აგრეთვე, მათში ძვირფასი ლიტერატურული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მასალებია დაცული. მანვე გამოსცა სუმბატ დავითის ძის „ქრონიკები“, მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ (1906 წ.), „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომლის ხელნაწერის მიხედვით ირკვევა, რომ დავით აღმაშენებლის ეპიტაფია – „ვის ნაჭარმაგევს მეფენი“ არსენ იყალთოელს ეკუთვნის. ექვთიმე თაყაიშვილმა იგი ლიტერატურათმცოდნეობისათვის ხელმისაწვდომი გახადა (უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ).

ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ღვაწლი გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლების, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“, „თამარიანის“, „აბდულმესიანის“, „როსტომიანის“, „ქილილა და დამანას“ შესწავლის საქმეში. მისი კვლევის საგანი იყო „სიბრძნე ბალაჰვარისი“, „მელის წიგნი“, „კათალიკოსბაქარიანი“, XVII-XVIII საუკუნეების სხვა ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ფილოლოგიური კვლევა-ძიებების საქმით დაინტერესებას ქუთაისის გიმნაზიასა და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისი სიყრმის მეგობარს, ნიკო მარრს უმაღლოდა.

ექვთიმე თაყაიშვილის ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი მუშაობა-მოღვაწეობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

1. სანიმუშოა მისი არქეოგრაფიული მოღვაწეობა, რადგან მეცნიერმა უპირველეს მიზნად დაისახა საქართველოს სიძველეებში, კერძო კოლექციებში ლიტერატურულ თხზულებათა შემცველ ხელნაწერთა მოძიება, სამუზეუმო ფონდებში მათი გადატანა და კატალოგიზაცია; იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეძებდა, პოულობდა და თავს უყრიდა ამ ძველ ხელნაწერებს, რომელთა შემდგომმა შესწავლამ და კვლევამ ბევრი რამ შეცვალა ქართველოლოგიურ მეცნიერებებში და ახალი პერსპექტივები დასახა კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის;

2. მან წარმართა კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური სამეცნიერო მუშაობა, რის მონაწილეობაცაა ძველი ტექსტების შემცველ ხელნაწერთა აღწერილობა; მისმა წინამორბედებმა თედო ჟორდანიამ და მოსე ჯანაშვილმა გამოსცეს A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ხოლო ექვთიმემ აღწერა S ფონდის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის, ხელნაწერები ორ ტომად (თაყაიშვილი, I, 1902-1904; II, 1906-1912); მას მხოლოდ მშრალი აღწერილობები არ შეუდგენია, არამედ აღწერილ ხელნაწერთან

დაკავშირებული კერძო ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და ისტორიული საკითხებიც შეისწავლა, ფაქტობრივად, ცალკეული ხელნაწერის შესახებ გამოკვლევა გაამზადა და გამოსცა;

3. მისი მეცნიერული მიზანდასახულობა იყო ლიტერატურულ ძეგლთა დამუშავება და გამოსაცემად მომზადება მისთვის სათანადო კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური სამეცნიერო აპარატის დართვით. ცალკე აღნიშვნას და კვლევას იმსახურებს ექვთიმე თაყაიშვილის ღვანლი ხალხური სიტყვიერების შეკრება-პუბლიკაციის საქმეში და მისი ანალიზი, რომლის გარეშე დღეს შეუძლებელია როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი და ფილოლოგიური, ისე ფოლკლორისტული კვლევა-ძიების წარმართვა. ექვთიმე თაყაიშვილის განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომებს და ცალკეულ შენიშვნებს ძველი ქართული მწერლობის პრობლემატიკის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა პერიოდიკასა და ცალკეული ნარკვევის სახით, თავი მოუყარა და ექვთიმე თაყაიშვილის რჩეულ თხზულებათა პირველ ტომში „მასალების“ სახით შეიტანა აკად. აღ. ბარამიძემ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა თხზულებათა სრული კრებულის სახით გამოსაცემია.

როგორც აღ. ბარამიძემ აღნიშნა, ექვთიმე თაყაიშვილი თავდაპირველად ხელნაწერთა სისტემურ აღწერას კატალოგური ჩანაწერების მიხედვით აპირებდა და ასეც შეუდგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის აღწერას და პირველი ოცდაათი ხელნაწერი სწორედ ამგვარად აქვს აღწერილი. მაგრამ ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის რჩევით 31-ე ნომრიდან იგი თემატური თვალსაზრისით შერჩეული ხელნაწერი ჯგუფების აღწერას შეუდგა. ამ პრინციპის გათვალისწინებით ცალკეული ხელნაწერის დახასიათება-აღწერასთან ერთად მან შეძლო ხელნაწერთა ჯგუფების საერთო დახასიათება, გამოყო ხელნაწერთა საუკეთესო ნუსხები; თავდაპირველად ქართულ ენაზე ადგენდა აღწერილობებს, მაგრამ საბოლოოდ რუსულზე გადავიდა, რათა ისინი აღმოსავლეთმცოდნე სპეციალისტთა წრეებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ აღწერილობათა პუბლიკაცია რუსულმა სამეცნიერო გამომცემლობამ იკისრა. თუმცა, ექვთიმე თაყაიშვილმა ვერ შეძლო ამ ფონდის ყველა ხელნაწერის აღწერა სხვადასხვა მიზეზთა გამო და იგი მეორე ტომის შემდეგ შეწყდა. მოგვიანებით, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა (ამჟამად – საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა სრულად გამოსცა.

თუ დავაკვირდებით XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის პუბლიკაციებს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ გამოცემის განხორციელებისას ძველი ქართული მწერლობის ძეგლების დედნებად მეტწილად შერჩეული იყო შედა-

რებით ნაკლები ღირებულების ხელნაწერი ან გამოცემისას ყველა ხელნაწერი არ იყო გათვალისწინებული, რაც, ცხადია, მეცნიერული გამოცემის პრინციპებს არ შეესაბამებოდა. ის ნუსხები, რომლებიც შემდგომში მეცნიერულ გამოცემებს დაედო საფუძვლად, ან საერთოდ მიკვლეული არ იყო, ან სიძველეთსაცავებში უყურადღებოდ ეწყო; შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ სამეცნიერო გამოცემის მომზადების სათანადო პრინციპები ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული. სამისოდ აუცილებელი იყო კატალოგიზაციასთან ერთად თითოეული ხელნაწერის სანდოობისა და ღირსების განსაზღვრა, ხელნაწერთა შეჯერება-შენამება ერთმანეთთან და ვარიანტულ სახე-სხვაობათა, ვარიანტთა დართვა მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერულ კეთილსინდისიერებას მოწმობს მის მიერ შედგენილი აღწერილობის ორტომეული, რომელიც მაღალი სამეცნიერო დონის შესაბამისი იყო და რომელიც მხოლოდ ხელნაწერის აღწერილობა არ იყო ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მეცნიერმა აღმწერმა გაითვალისწინა აღსაწერი ხელნაწერის/ტექსტის გარეგნული და შინაარსობრივი მხარეები, რასაც წინა აღწერილობებში ყოველთვის არ ექცეოდა ყურადღება. ექვთიმე თაყაიშვილს მთლიანად აქვს მოყვანილი ხელნაწერებს დართული კოლოფონები – ანდერძები, მინაწერები, გადამწერთა შენიშვნები, რომელთა გარეშე გაჭირდებოდა გადამწერის ვინაობის, ხელნაწერის დამკვეთის, გადამწერის თარიღისა და ადგილის, წიგნის შედგენაზე მზრუნველ პირთა ვინაობის დადგენა; ხელნაწერს უმეტესად ახლავს *ზანდუკი*, რომელიც გვაცნობს ხელნაწერი წიგნის შინაარსს, მინიატურების ნუსხას, თუ ეს უკანასკნელი ჩართულია მასში. ექვთიმე თაყაიშვილის ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური საქმიანობა, კერძოდ, ხელნაწერის აღწერილობის შედგენა, ხშირ შემთხვევაში ცვლიდა სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ შეხედულებებს, რის გამოც მის აღწერილობებს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭებოდა. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობათა ორტომეულისათვის შემდგომში ალექსანდრე ბარამიძემ და აკაკი შანიძემ შეადგინეს საძიებლები, რომელთა დართვა სამეცნიერო გამოცემისათვის აუცილებელია, რათა იგი გამოსადეგი გახდეს მკვლევარისათვის და მას მეცნიერული მუშაობა გაუადვილოს. ამ აღწერილობებს მაღალი შეფასებები მისცეს ნიკო მარრმა და ივანე ჯავახიშვილმა. თვით ექვთიმე თაყაიშვილი მის მიერ შედგენილი აღწერილობების შესახებ იხსენებდა ნიკო მარრის სიტყვებს, რომ ეს აღწერილობა კი არა, მთელი გამოკვლევააო («Какое же это описание? Это настоящее исследование!» თაყაიშვილი 1968: 338).

ნიკო მარრმა ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობების შესახებ გამოქვეყნებული თავისი და ივანე ჯავახიშვილის რეცენზია-გამოხმაურებების საფუძველზე ვრცელი ნაშრომი შეადგინა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წარუდგინა ჯილდოს მისაღებად. ექვთიმე თაყაიშვილმა ამ შრომისათვის მიიღო კიდევ ჯილდოდ ოქროს მედალი. გამოხმაურებაში ნიკო მარრმა შეა-

ფასა აღწერილობათა მეცნიერული ღირებულება, თუმცა, იქვე, სრულიად სამართლიანად, მის ნაკლოვან მხარეებზეც მიუთითა. კ. კეკელიძემ და ალ. ბარამიძემ მაღალი შეფასება მისცეს აღწერილობათა ორტომეულს: „ექვთიმე თაყაიშვილის „აღწერილობა“ ნამდვილად სცილდება აღწერილობათა ჩვეულებრივ ფარგლებს. ზოგიერთი „აღწერილობა“ დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს, მთლიანად კი იგი ნამდვილი მეგზური და წინამძღვარია ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული ყველა პირისათვის. ექვთიმე თაყაიშვილის „აღწერილობის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ძველი ქართული მწერლობის სამეცნიერო კურსის შექმნა“ (ბარამიძე 1986: 188); თუმცა, კ. კეკელიძემ ისიც აღნიშნა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილი „აღწერილობის“ ორსავე ტომში მხოლოდ საერო თხზულებათა შემცველი ხელნაწერებია აღწერილი და სასულიერო ხასიათის თხზულებების შემცველი ხელნაწერები, რომლებიც საკმაო რაოდენობით არის დაცული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში, არ იყო აღწერილი. შემდეგში ამ ნაკლის შევსება დ. კარიჭაშვილს უცდია, მაგრამ სრულყოფილი არც ისაა. ამავე დროს, კ. კეკელიძემ აღნიშნა ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობათა ხასიათი, რომ იგი სცილდება აღწერილობას და სამეცნიერო ნარკვევს წარმოადგენს (კეკელიძე 1960: 22).

უაღრესად მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის სტატიებში გამოთქმული შეხედულებები, რომლებშიც მან ჩამოაყალიბა ტექსტის გამოცემის ფილოლოგიური პრინციპები.

ექვთიმე თაყაიშვილს წვლილი მიუძღვის ბიბლიოლოგიისა და აპოკრიფული ლიტერატურის აღწერა-შესწავლის საქმეში, განსაკუთრებით ოთხთავების აღწერა-შესწავლის საქმეში. იგი გაკვრით შეეხო ათონის ივერთა მონასტერში დაცულ ხელნაწერებს და საგანგებოდ აღნიშნა ოშკის მონასტერში გადაწერილი ბიბლია, რომელიც შემდგომ ათონზე გადაიტანეს და ამჟამადაც იქ ინახება. ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ეჩვენებინა, თუ რაოდენ ღრმად მოაზროვნენი და წინდახედულნი იყვნენ ქართველი მოღვაწეები და ზრუნავდნენ ქართული მნიგნობრობის განვითარებისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა აპოკრიფული მოთხრობებიც, ე. წ. ქუაბის საგანძური, რომელიც მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებას“ უძღვის წინ დამატების სახით. მოგვიანებით, 1953 წელს ემიგრაციიდან დაბრუნებულმა, „განძთა ქუაბის“ შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში სტატიაც გამოაქვეყნა (თაყაიშვილი 1953: 25-47), რომელშიც შეფასებულია აპოკრიფის კავშირი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან; მისი აზრით, „განძთა ქუაბის“ ტექსტი „წარმოადგენს ერთგვარ წინასიტყვაობას ლეონტი მროველის თხზულებისას, მაგრამ ამ აპოკრიფის მის ორგანულ ნაწილად გამოცხადება გაზვიადებული ჩანს, რადგან იგი ერთი სიტყვითაც არ არის გადაბმული ლეონტის ისტორიასთან, ისევე როგორც აქ მოთავსე-

ბული მეორე აპოკრიფი (იგულისხმება „შიშუელ-მართალთათვის და ქუეყნისა საზომისათვის“) არ შეადგენს „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს და არა აქვს კავშირი მასთან“ (თაყაიშვილი 1953: 26). ამ თხზულების კვლევა შემდგომშიც გაგრძელდა. კერძოდ, აპოკრიფული თხზულება „განძთა ქვაბი“ შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს კ. კეკელიძე (კეკელიძე 1945: 108-129). უკანასკნელ ხანებში კი იგი შეისწავლა და ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების მიხედვით გამოაქვეყნა ციალა ქურციკიძემ, რომლის აზრით, „განძთა ქვაბი“ და მეორე აპოკრიფი „შიშუელ-მართალთათვის და ქუეყნისა საზომისათვის“ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს „ნაუმძღვარეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მათში მოთხრობილი ამბები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ ქართველ მეფეთა ცხოვრების ისტორიას. სავსებით მიზანშეწონილი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მეორე აპოკრიფი გადმოჰყვა პირველს იმ წყაროდან, სადაც ისინი ერთმანეთის მომდევნოდ იყვნენ მოთავსებული“ (ქურციკიძე, 2007: 19). ფაქტობრივად, ექვთიმე თაყაიშვილის ძირითადი დებულება აპოკრიფის შესახებ შემდგომი ხანის გამოკვლევებში დადასტურდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა საგანგებო სტატიაში განიხილა IX-X საუკუნეების ხელნაწერით მოღწეული თხზულების „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ნაწილის, ქრონიკის შემდგენლის მიერ „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსიის გამოყენების საკითხი. ექვთიმე თაყაიშვილის სწორედ ამ შეხედულების კვალობაზე „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსიის არსებობა უკვე IX საუკუნისათვის შეიძლება ვივარაუდოთ (თაყაიშვილი 1948: 621-627).

ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა ადიშის, პარხლის, ჯრუჭის, ყანჩაეთის, ლაბეჭინის სახარებები (თაყაიშვილი, ძველი საქართველო, I: 61-74; თაყაიშვილი 1918: 71-78). ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნით, ადიშის სახარება ფოტოგრაფიულად გადმოიღო მისმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სვანეთში 1910 წელს.

მოკლედ პარხლის სახარების შესახებ: ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა სურამის მახლობლად მდებარე სოფელ ზემოჭალის ახალ ეკლესიაში იმ დროს დაცული ნივთები, რომლებიც მზითვად გაუტანებიათ ვახტანგ მეექვსის ასულის, ანუკა ბატონიშვილისათვის, რომელიც ვახუშტი აბაშიძის მეუღლე იყო. ამ ნივთთა შორის აღმოჩნდა სახელგანთქმული პარხლის სახარება, 973 წელს გადაწერილი შატბერდის მონასტერში იოანე ბერაის მიერ. ექვთიმე თაყაიშვილს ამ ხელნაწერთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ იგი იოანე ბერაის გადაუწერია შატბერდში პარხლის მონასტრისათვის. ხელნაწერის პირი გამჭვირვალე ქაღალდზე გადმოაღებინა მხატვარ-გრიმიორს, რომლის გვარს ზუსტად ვერ იხსენებს, ამბობს, მგონი გ. ტატიშვილი იყო, სწორედ ეს პირი დაბეჭდა შემდეგ «Материалы по археологии Кавказа»-ს XII ტომში.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1908 წლის ზაფხულში ქსნის ხეობაში მოგზაურობისას სოფელ ყანჩაეთში იპოვა ტყავის სახარება, რომელიც ადრე ჰქუთუნე-

ბია ყანჩაეთის მახლობლად მდებარე კაბენის მონასტერს, რომელიც იმ დროს, როდესაც იგი ექვთიმე თაყაიშვილმა ნახა, სავალალო მდგომარეობაში ყოფილა. ცნობები მის შესახებ დაცულია თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე ტომში (ჟორდანია 1897: 172); ექვთიმე თაყაიშვილმა დეტალურად შეისწავლა და აღწერა ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები, განსაზღვრა ხელნაწერის რაობა, შედგენილობა, სახარებათა გადაწერის თარიღი – XII-XIII საუკუნეები, დაადგინა ხელნაწერის მიხედვით, თავად სახარებაში კი არაა რაიმე ცნობა მისი გადაწერის შესახებ. ხელნაწერს დართული აქვს ზანდუკი, რომელიც საძიებელთან ერთად სახარებათა ტექსტებისაგან განსხვავებული ხელითაა ნაწერი. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობის თანახმად, ხელნაწერის თავისუფალი ფურცლები და არშიები სავსეა მინაწერებით, რომლებშიც დაცულია ცნობები იმის შესახებ, თუ ვის რა შეუწირავს კაბენის მონასტრისათვის. მან მთლიანად გამოაქვეყნა ეს მინაწერები, განსაზღვრა ხელნაწერს დართულ მინაწერთა რაობა და იგი კაბენის ეკლესიის გუჯართა კრებულად მიიჩნია (თაყაიშვილი 1909: 61-62).

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა, აგრეთვე, რამდენიმე ისეთი ხელნაწერი, რომლებიც გრიგოლ დავითის ძის გურიელისაგან იყო შეწირული: ვახტანგ გურიელის ბრძანებით გიორგი კობახიძის ხელით 1791 წელს გადაწერილი მარხვანი, XIV-XV სს. დათარიღებული ნაკლული სახარება-ოთხთავი, ჟამნ-გულანის ხელნაწერი, რომლის გადაწერის თარიღად XVIII საუკუნე ივარაუდა.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა და შეისწავლა ჯვარის მონასტერში დაცული XI საუკუნის თვენის ხელნაწერი, რომელიც არც ა. ცაგარელს და არც რ. ბლეიკს თავიანთ აღწერილობაში არა აქვთ აღნიშნული და აღწერილი. ექვთიმე თაყაიშვილმა ხელნაწერი XI საუკუნისად მიიჩნია შემდეგი ფაქტების გათვალისწინებით: აქ ანდერძ-მინაწერებში ნახსენებია გიორგი პროხორე, რომელიც ჯვრის მონასტრის აღმშენებელი იყო, და იოვანე დვალი. ექვთიმემ ამ კოდიკოლოგიური მონაცემების საფუძველზე განსაზღვრა გადამწერის – იოვანე დვალის ვინაობა, რომლის სახელი სხვა ხელნაწერებითაც არის ცნობილი, კერძოდ 1055 წლის ხელნაწერი (ცაგარელით – 105 და ბლეიკით – 14), რომელშიც წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ დაწერილი ბასილი დიდის შესხმაა შეტანილი. გადამწერს თვითა მიხედვით გადაუწერია საგალობლები, მასში 48 რვეულია, რვეულში – 8 ფურცელი, ესე იგი 384 ფურცელია. თუმცა, იმ დროს, როდესაც ექვთიმეს ეს აღუწერია, მას რამდენიმე ფურცელი აკლდა. ხელნაწერს ექვთიმე თაყაიშვილი ათარიღებს 1056-1066 წლებით, რადგან პროხორე 1066 წლის შემდგომ ცოცხლად აღარ იხსენიება. აქ მოთავსებულია წმ. ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელი. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ამ კრებულში მოთავსებული საგალობლები განსხვავდება საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ გამოქვეყნებული საგალობლისაგან. მან ასევე დაინახა მსგავსება თავისი გამოცემული ჭელიშისეული რედაქციის საგალობლის

ტექსტთან, თუმცა, აღნიშნა, რომ მათ შორის განსხვავებაც საკმაოდ დიდია. ამავე ხელნაწერშია წმ. აბოსადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც 1913 წელს პავლე ინგოროყვამ გამოსცა თავის „ძველქართულ სასულიერო პოეზიაში“. მანვე ყურადღება მიაქცია საგალობელთა აკროსტიქებს, რომლებიც თავის სტატიაში დაიმონმა.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა თავისი აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელშიც ჩართული არის არსენ იყალთოელის ერთსტროფიანი ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა. საგულისხმოა, რომ ამ ერთსტროფიანი ეპიტაფიის სწორი ვარიანტი სწორედ ამ ხელნაწერმა შემოგვინახა: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს“, რომელსაც ევანგელური ალუზია-სიმბოლო წარმართავს, რადგან მასში მაცხოვრისა და მისი თორმეტი მოწაფის ანარეკლი იკითხება; შემდეგში პავლე ინგოროყვამ ეპიტაფიის პირველი ტაეპის სიტყვა „თორმეტნი“ შეცვალა სიტყვით „შვიდი“, რამაც შინაარსობრივად შეცვალა ტექსტი და მას პოლიტიკური ელფერი შესძინა: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს“. საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ საქართველო შვიდი სამთავროსგან შედგებოდა და ტაეპის ამგვარი წაკითხვა სწორედ ამ მოსაზრების დასტურად შეიძლება მოვიაზროთ. ეპიტაფიას განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება რამდენიმე თვალსაზრისით: 1. ესაა ერთ-ერთი რუსთველამდელი სტროფი 16-მარცვლიანი დაბალი შაირით შესრულებული, რომელსაც აქვს სამმარცვლიანი რითმა; თუმცა, შაირის შემცველი ტექსტები ადრეც დასტურდება; 2. თავის მხრივ ლექსს მოგვიანებით გაუჩნდა ვარიანტი, რომელიც პოლიტიკურ იდეოლოგიას ასახავს, ხოლო არსენ იყალთოელისეული, დედნისეული ტექსტი ბიბლიურ-ევანგელურ ალუზიას მოიცავს. ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება ისაა, რომ მან ეს ტექსტი იპოვა, გამოაქვეყნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილ იმ აღწერილობა-გამოკვლევებს, რომლებიც ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ ძეგლებს შეეხება, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანს“, „აბდულმესიანს“, „თამარიანს“, „ამირანდარეჯანიანს“. მას დეტალურად შეუსწავლია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ იმ დროისათვის ცნობილი ყველა ხელნაწერი, აგრეთვე, სხვა ფონდებისა და კერძო მფლობელთა კუთვნილი ხელნაწერებიც, რითაც ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში.

ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით ექვთიმე თაყაიშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და შოთა რუსთველის პოემის კვლევის საქმეში. ამიტომაც ჩვენი სტატიის უმეტესი ნაწილიც სწორედ მათ განხილვას ეძღვნება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ექვთიმე თაყაიშვილმა XIX საუკუნის 80-90 წლებში საგანგებო ყურადღება მიაპყრო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტს. მასში

გადმოცემულია წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობა და ქართლის მოქცევა წმ. მირიან მეფისა და წმ. ნანა დედოფლის ცხოვრების პერიოდში. ექვთიმე თაყაიშვილი წლების განმავლობაში შემდგომშიც გულმოდგინედ მუშაობდა ამ თხზულებაზე და საგულისხმო დასკვნებამდეც მივიდა. თავის მოგონებებში იგი იხსენებს, რომ დავით რექტორის ძმისწულს მღვდელ დიმიტრი ალექსიმესხიშვილს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მიუტანია და შეუწირავს რამდენიმე ხელნაწერი. ამ პროცესს შესწრებია ნიკო მარრი და ჩანაწერები გაუკეთებია ამ ხელნაწერთა რაობის შესახებ. თვითონ თაყაიშვილი იმ მომენტში თბილისში არ ყოფილა. ამ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა შატბერდის კრებული, რომელშიც, სხვა მნიშვნელოვან თხზულებებთან ერთად, შეტანილია „მოქცევა ქართლისაჲ“. 1888 წელს ნიკო მარრმა აღწერა საზოგადოებისთვის დიმიტრი ალექსიმესხიშვილის შეწირული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექცია. მან „მოქცევა ქართლისაჲს“ ტექსტი თავისთვისაც გადაიწერა და მისი აღწერილობაც შეადგინა. ეს იყო მოკლე აღწერილობა; მარრმა ხელნაწერს რიგით 1141 ნომერი მიანიჭა. სწორედ ეს ხელნაწერი გახლავთ „შატბერდის კრებული“, რომელშიც მოთავსებულია ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიისათვის უძვირფასესი ტექსტი „მოქცევა ქართლისაჲ“. მარრის აღწერილობა მის დაუკითხავად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“; აღწერილობის გამოქვეყნებას მოჰყვა დადებითი გამოხმაურებები. მარრისავე აღწერილობის მიხედვით დიმიტრი ბაქრაძემ ნახა ეს ხელნაწერი და მანაც ისევ „ივერიაში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც განაცხადა, რომ ხელნაწერი საყურადღებოა და IX საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოსო. მან ხელნაწერი გამოიყენა თავისი „საქართველოს ისტორიის“ შედგენისას. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ დიმიტრი ბაქრაძე სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი იყო და ამიტომ ხელნაწერის მისეული დათარიღება გაიზიარეს. ეს, შეიძლება ითქვას, გადატრიალების ტოლფასი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, რადგან პატკანოვი წერდა, რომ „მოქცევა ქართლისაჲ“ სომხის შედგენილია და XI საუკუნემდე ქართული მატრიანები არც არსებობდაო. IX საუკუნისად მიჩნევა ახლად აღმოჩენილი ხელნაწერისა კი ახალი შეხედულებების გამოთქმის საფუძველს იძლეოდა. ასეთი იყო „მოქცევა ქართლისაჲს“ ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემამდელი მდგომარეობა თხზულების შესწავლის საქმეში.

ექვთიმე თაყაიშვილმა გადაწერა „მოქცევა ქართლისაჲ“, მეცნიერულად დაამუშავა იგი და 1890 წელს გამოსცა სამი ისტორიული ქრონიკა, რომელთაგან ერთ-ერთი იყო უცნობი ავტორის „მოქცევა ქართლისაჲ“; 1891 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ისევ გამოაქვეყნა შატბერდის კრებულიდან „მოქცევა ქართლისაჲს“ მეორე ნაწილი — „წმ. ნინოს ცხოვრება“. საინტერესოა, რომ მან ხელნაწერის მეცნიერული შესწავლისა და სხვა ხელნაწერებთან შეჯერება-შენამების საფუძველზე დაადგინა, რომ შატბერდის კრებული IX საუკუნეში კი

არა, X საუკუნის II ნახევარშია გადაწერილი იოანე ბერაის მიერ, კერძოდ 973 წელს. მასვე გადაუწერია 973 წელს სახარება-ოთხთავი და შეუწირავს პარხლის ახლადაშენებული მონასტრისათვის. ამ ხელნაწერის შესახებაც გვიამბობს ექვთიმე თაყაიშვილი, რომ ზემო ჭალაში იქაურ მღვდელთან, სუხიაშვილთან, უნახავს ეს ხელნაწერი. მან გაარკვია, რომ იგი გადაწერილი ყოფილა იოანე ბერაის მიერ, ე. ი. იმ პირის მიერ, რომელმაც გადაწერა შატბერდის კრებული. ოღონდ შატბერდის კრებულში თარიღი არ იყო აღნიშნული, ხოლო პარხლის სახარებაში მითითებული იყო გადაწერის თარიღი – 973 წელი. იმის გამო, რომ პარხლის სახარების ზუსტი თარიღი ცნობილი იყო, მან ივარაუდა, რომ იოანე ბერაის შატბერდის კრებული ამ ხელნაწერის გადაწერის შემდეგ უნდა შეედგინა, თუმცა, ხელნაწერის მიხედვით ირკვევა, რომ შატბერდის კრებულის გადაწერაში მონაწილეობა კიდევ ორ პირს მიუღია.

1891 წელსვე მოსე ჯანაშიელმა გამოაქვეყნა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი, გამოცემას უწოდა „აღვადგინე“, რომელშიც გაასწორა ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემებში დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომები და უზუსტობები. ტექსტს მან დაურთო შატბერდის კრებულიდან ამოღებული ორი ნაწყვეტი და ხელნაწერის კიდევ ერთი მონაკვეთი, რომელსაც „სასწავლო წიგნი“ უწოდა. 1893 წელს თედო ჟორდანიამ თავისი „ქრონიკების“ I ტომში გამოაქვეყნა კრებულის აღწერილობა. ხელნაწერის მნიშვნელობა უკვე XIX საუკუნის მინურულისათვის იყო განსაზღვრული. 1891 წელს გამოქვეყნებულ წიგნში, რომელშიც დაბეჭდილია „ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ (LIX+78 გვ.), ექვთიმე თაყაიშვილმა დაბეჭდა ეფრემ მცირის „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ და სამი ტაბულა. ეს თხზულება 1959 წელს გამოაქვეყნა თ. ბრეგაძემ (ეფრემ მცირე, 1959). 1900 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რუსული თარგმანი დაბეჭდა; იმავე წელს მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ ინგლისურად თარგმნილი „წმ. ნინოს ცხოვრება“ გამოქვეყნდა, რომლის რეცენზირება ნიკო მარსს ეკუთვნის. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გერმანული თარგმანი გერტრუდ პეჩმა შეასრულა და 1975 წელს გამოქვეყნდა.

საკითხის სრული ისტორიული მიმოხილვისათვის საჭიროა 1902-1903 წლების ზაფხულის თვეებში ამბროსი ხელაიას რაჭაში ყოფნისა და ჭელიშის უდაბნოში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთი ვარიანტის აღმოჩენის შესახებ მსჯელობაც; მან აღწერა იქაური საისტორიო ნაშთები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჭელიშის უდაბნოს ხელნაწერებს. მანამდე რაჭაში უმოგზაურიან და აღუწერიათ იქაური სიძველეები მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძესა და კონდაკოვს, ბოლოს კი გრაფინია უვაროვისას. მაგრამ მათ ჭელიშის უდაბნო არ უნახავთ და, შესაბამისად, იქაური ხელნაწერები არ უკვლევიათ. ამბროსის ყურადღება ჭელიშის უდაბნოში მყისვე მიიპყრო ხელნაწერებმა, რომელთა

შორის აღმოჩნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც დაერთვის საგალობლები და წმ. გიორგის ცხოვრება. მან ეს ხელნაწერი დეტალურად აღწერა, რის შესახებაც შემდგომ, 1907 წლის 28 დეკემბერს, მოხსენება წაიკითხა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე. მან ეს ხელნაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII-XIV საუკუნეებით დაათარიღა. თუმცა, მის დედნად ივარაუდა გაცილებით ძველი ხელნაწერი, რის საფუძველსაც მას ტექსტის ანალიზი აძლევდა. მისი აზრით, დედანი XI საუკუნისა უნდა ყოფილიყო. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჭელიშურის დედანი IX საუკუნისა უნდა ყოფილიყო. მანვე განიხილა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შედგენილობა, განმარტა წმ. ნინოს ქართლში მოსვლის მიზანი, ყურადღება გაამახვილა მაცხოვრის კვართის ისტორიაზე. მან შეუდარა შატბერდული ხელნაწერის რედაქციას ჭელიშური და აღნიშნა მათ შორის მსგავსება-განსხვავებები. მანვე დასვა საკითხი იმის შესახებ, როდის შეიძლება საქართველოში გავრცელებულიყო წმ. გიორგის ხსენება. მისსავე ამ ნაშრომში განხილულია საკითხი ათცამეტ ასურელ მამათა საქართველოში მოსვლისა და მისი ასახვის შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ ვარიანტში. აქვე მან დასვა საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა ყოფილიყვნენ მთავრები და ეპისკოპოსები საქართველოში. მანვე მიაქცია ყურადღება თხზულების ქრონოლოგიას. თუმცა, მისი შრომის გამოქვეყნების შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით კიდევ რამდენჯერმე შეიცვალა შეხედულება.

ექვთიმე თაყაიშვილი 1909 წელს კვლავ მიუბრუნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტს, შატბერდის კრებულს და კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა მისი აღწერილობა. მიზეჯალა შანიძისა და ელგუჯა გიუნაშვილის აზრით, ექვთიმე თაყაიშვილის ეს შრომა საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს შატბერდის კრებულის დღემდე არსებულ აღწერილობათა შორის (შატბერდის კრებული 1979: 16). ექვთიმე თაყაიშვილმა დაახასიათა ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა, აღადგინა ყველა დეფექტური ანდერძ-მინანერის ტექსტი და კომენტარებიც გააკეთა. მისი ვარაუდით, შატბერდის კრებულის ხელნაწერი გადანერილი უნდა იყოს პარხლის ოთხთავამდე, ე. ი. 973 წლამდე. „ექვთიმე თაყაიშვილს ეს დასკვნა, როგორც ჩანს, უკარნახა შემდეგმა გარემოებამ: იოანე ბერას ანდერძით შატბერდის კრებული შექმნილია „სალოცველად მეფეთა: ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათათაჲს“ (285v). იმავე იოანე ბერაის ანდერძით, პარხლის ოთხთავი დაიწერა „სალოცველად მეფეთა რუენთათჲს: ღმრთივ დაბადებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა და ღვთივ მონიჭებულთა ძეთა მათათაჲს“. ამ ორივე ანდერძში მოხსენიებულია ბაგრატ მეფე, მაგრამ პირველში (შატბერდის კრებულში – ნ. ს.) არ არის დავით მაგისტროსის ხსენება, რაც, როგორც სავარაუდებელია, საფუძველი გამხდარა ექვთიმე თაყაიშვილისათვის, რომ ეთქვა:

შატბერდის კრებული გადაწერილია დავით კურაპალატის ახალგაზრდობაში, როცა იგი ჯერ კიდევ არ ატარებდა მაგისტროსის ტიტულსო" (შატბერდის კრებული 1979: 26). თედო ჟორდანიამ შატბერდის კრებული 973-976 წლებში გადაწერილად მიიჩნია, რის საფუძვლადაც „ქრონიკონის“ დაბოლოება ესახება. აქ ჩამოთვლილ მეფეთა სია ასეთია: „...კონსტანტი.. რომანოზ: ნიკიფორე: კივირჯან“. თ. ჟორდანიას კივირჯან მიუჩნევია იმპერატორ იოვანე I ჩიმიშკად (969-976 წწ.) და ხელნაწერსაც ამავე პერიოდში შექმნილად მიიჩნევდა. ილია აბულაძემ ხელნაწერი X საუკუნის 70-იანი წლებით დაათარიდა. მ. შანიძემ და ე. გიუნაშვილმაც შესაძლებლად მიიჩნიეს ხელნაწერის X საუკუნის 60-70-იანი წლებით დათარიღება (შატბერდის კრებული 1979: 26).

1912 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შატბერდული და ჭელიშური ვარიანტების სრული ტექსტები, პარალელურად დაბეჭდილი (Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», Т. II. Вып. 1-4. ტფ. გვ. 708-815). მანვე გამოაქვეყნა შატბერდის კრებულში არსებული ბერძნული მინაწერი რუსული თარგმანითურთ, მინაწერი კრებულის შედგენის დროსაა შესრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექვთიმე თაყაიშვილს, ნიკო მარრის ცნობით, გამოსაცემად მომზადებული ჰქონია „მვეცთათვს სახისა სიტყუაჲ“, რომელიც არ დაბეჭდილა და მარრს ამ ტექსტით უსარგებლია თავისი გამოცემის განხორციელებისას. ამჟამად ამ ტექსტის სტამბურად დაბეჭდილი ტექსტი 32 გვერდის მოცულობისა ინახება ექვთიმე თაყაიშვილის არქივში ნომრით 104. აქვე ინახება ამ თხზულების პირველი სამი თავის რუსული თარგმანი შენიშვნებითა და ლექსიკონით (შატბერდის კრებული 1979: 38).

„შატბერდის კრებულში“ რამდენიმე საინტერესო ანდერძ-მინაწერია დაცული, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილმა ორ ჯგუფად დაჰყო: ძველ და შედარებით მოგვიანო ხანის მინაწერებად, რომელთაც ხელნაწერის კოდიკოლოგიური საკითხების განსამარტებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ მინაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაწერილია შატბერდში იოანე ბერაის მიერ, რომელიც მიქაელ მოდრეკილის დისწული და შატბერდში მოღვაწე მამა დავითის ძმა ყოფილა. დედნად გამოყენებულია იშხნის ხელნაწერი, ერთ-ერთი ფრაგმენტული ანდერძის ტექსტი გვამცნობს: „ნიგნი ქართლის მოქცევისაჲ ... სულისაჲ ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“ (248v); ანდერძი იოანე ბერაის ხელითაა შესრულებული. ანდერძის ტექსტი მონაშობს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდის კრებულში მოთავსებულ ტექსტს ხანგრძლივი ისტორია აქვს, შესაძლოა, საუკუნეები ჰქონდეს გამოვლილი. ხელნაწერის შემდგენელ-გადამწერ იოანე ბერაის შესახებ მ. შანიძემ და ე. გიუნაშვილმა აღნიშნეს, რომ ანდერძში მის დამხმარეებად მოიხსენიებიან დედის ძმა მიქაელ და ძმა დავითი. თუ ანდერძში ნახსენებ მიქაელს და დავითს გავაიგივებთ

მიქაელ მოდრეკილსა და დავითთან, მაშინ იოანე ბერაიც მიქაელ მოდრეკილის დისწული აღმოჩნდება (შატბერდის კრებული 1979: 25). შატბერდის კრებულში მიქაელ მოდრეკილის ხელი არ შეინიშნება, რადგან მიქაელ მოდრეკილის ხელი ცნობილია მისი შედგენილი იადგარის მიხედვით. კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ იოანე ბერაი და დავითი მიქაელის ნათესავები არიან, მაგრამ მას, აგრეთვე, მიაჩნდა, რომ მიქაელ მოდრეკილი და ეფთვიმე მთანმიდელი ძმები იყვნენ, მათ ჰყოლიათ და, რომლის შვილები არიან იოანე ბერაი და დავითი. შემდგომი კვლევების საფუძველზე წარმოჩნდა, რომ მიქაელ მოდრეკილი და ეფთვიმე მთანმიდელი ძმები არ იყვნენ, შესაბამისად, არც ეფთვიმეს დისწულებად არ შეიძლება მივიჩნიოთ იოანე ბერაი და დავითი. ოშკის//ათონის ერთ-ერთი გადამწერი მიქაელი, ძე ვარაზვაჩესი, არაა მიქაელ მოდრეკილი, იგი იოანეთორნიკეს ძმისწულია, რაც იმას მოწმობს, რომ შატბერდში მოღვაწე მიქაელ მოდრეკილი და ოშკში მოღვაწე მიქაელ ვარაზვაჩესი ძე არ უნდა გავიგივოთ, ისინი სხვადასხვანი არიან (სულავა 2003: 33-51).

აღსანიშნავია, რომ შატბერდის კრებული ექვთიმე თაყაიშვილის ყურადღების საგანი შემდეგშიც არაერთგზის გამხდარა, რის მოწმობაცაა ემიგრაციიდან დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში გამოქვეყნებული სტატია, თუ საიდან და როდის გაჩნდა ქართლის მოქცევის ქრონიკაში სახელწოდება „არიან ქართლი“.

ექვთიმე თაყაიშვილმა პავლე ინგოროყვასთან ერთად იმუშავა ეფრემ მცირის თხზულების შესავლის ხელნაწერებზე; შემდეგში მან სამი ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინებით გამოაქვეყნა შესავალი ეფრემ მცირის შრომისა „თარგმანებაჲ ფსალმუნთა ნიგნისაჲ“; ეს ხელნაწერები იყო: 1. მარტვილის მონასტრის XI ს. ნაკლული და დაზიანებული ხელნაწერი; ტექსტზე ადრე უმუშავია იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს პავლე ინგოროყვას, რომელსაც ეს ტექსტი გადმოუწერია მარტვილის მონასტრის ხელნაწერიდან და 2. ჯრუჭის XIX ს. ხელნაწერიდან შესავლის ის ნაწილი, რომელიც ლექსიკონს წარმოადგენს (თაყაიშვილი 1913-1914: 242). 3. ექვთიმე თაყაიშვილს მესამე ხელნაწერიც ჰქონია ხელთ, საეკლესიო მუზეუმისა №14 (A-14), გადამწერილი „სფირიდონ აჯიაშვილის მიერ 1816 წელს სიღნაღისა და ქისიყის მიტროპოლიტის იოანე ბოდბელისათვის“; მისი დაკვირვებით, ჯრუჭისა და საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები ერთნაირია, მათში მხოლოდ ორთოგრაფიული სხვაობები შეინიშნება (თაყაიშვილი 1913-1914: 242).

ექვთიმე თაყაიშვილის კვლევის საგანი იყო ქართველ მეხოტბეთა თხზულებები, რომლებიც ადრევე იქცევადა გადამწერთა და მეცნიერთა ყურადღებას. ექვთიმე თაყაიშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში დაცული სახოტბო პოეზიის ნიმუშთა რამდენიმე ხელნაწერი აღწერა; აღწერილობებში ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მან გამოთქვა თავისი შეხედულებებიც. ცნობილია ილია

ჭავჭავაძის დამოკიდებულება ჩახრუხაძის „თამარიანისადმი“, რაც აშკარად მონიშნავს ამ ტექსტების შემცველ ხელნაწერთა სავალალო მდგომარეობას, მათ სინაკულუსს. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა, რომ ამ თხზულებებს ბუნდოვანებას ანიჭებს და ნაკლებად გასაგებს ხდის გვიანდელი ჩანართები, სიტყვათა გადასმები, გადანერისას დაშვებული უზუსტობები, გამოტოვებული სიტყვები თუ შეცვლილი ლექსიკური ერთეულები. ბევრი რამ გაირკვა ნიკო მარრის მიერ ქართული სახოტბო პოეზიის ნიმუშთა გამოცემის შედეგად, მაგრამ ბევრი რამ მაინც დარჩა გასარკვევი და დასადგენი; კიდევ დიდი სამუშაო იყო ჩასატარებელი, რათა ტექსტი მეცნიერულად დადგენილიყო და დაზუსტებულიყო. სახოტბო პოეზიის პუბლიკაციისა და შესწავლის შემდგომი ეტაპი იყო ივანე ლოლაშვილის გამოცემები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ კიდევ არის საჭირო ტექსტის დასადგენად მუშაობა, აგრეთვე, კვლევას მოითხოვს ამ ტექსტებთან დაკავშირებული მრავალი ფილოლოგიური პრობლემა და მხატვრული სამყარო.

ექვთიმე თაყაიშვილის შეხედულებით, რაც, ნათლად ჩანს, ნიკო მარრის მოსაზრებების საფუძველზე ჩამოყალიბდა, „თამარიანი“ პატარა თხზულებათა კრებულს წარმოადგენს და არა ერთ მთლიან თხზულებას; ამ თხზულებებიდან 11 ოდა თამარს ეძღვნება, ერთი კი არის ელეგია შეყვარებულ რაინდ-პოეტზე. თხზულება აგრეთვე შეიცავს ქართველი მეფე-ქალის ქებას და ასევე ერთ ანონიმურ სტროფს, რომელიც ელეგიის პასუხადაა შექმნილი; თამარიანისადმი მიძღვნილი ოდები სხვადასხვა დროს უნდა იყოს შექმნილი სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, მაგრამ იგი უნდა შექმნილიყო იმ პერიოდში, როდესაც მისი პირველი ქმრის გაძევებიდან სამი წელი იყო გასული და რუსუდანის დაბადებამდე. აქედან გამომდინარე, ის თხზულებას 1192-95 წლებში დაწერილად მიიჩნევა.

ცნობილია, რომ ნ. მარრმა ჩახრუხაძე და რუსთველი ერთი და იმავე პირად მიიჩნია. ექვთიმე თაყაიშვილის აზრითაც, ამ ოდების ავტორი არის შოთა რუსთველი. აქედან გამომდინარე, იგი ჩახრუხაძისა და შოთა რუსთველის იდენტურობას ადასტურებდა; თუმცა, მისი მოსაზრებით, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს ოდები, ისინი შესანიშნავი ხოტბები და ადასტურებენ XII საუკუნის მინურულის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებას; მას ისინი „ვეფხისტყაოსნის“ ტოლფარდ თხზულებებად მიაჩნია (თაყაიშვილი 1902: 530-531). რა თქმა უნდა, „თამარიანის“ ექვთიმე თაყაიშვილისეული შეფასება „ვეფხისტყაოსნის“ ტოლფარდ თხზულებებად მიჩნევის შესახებ გადაჭარბებულია.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა ე. წ. „აბდულმესიანის“ ხელნაწერებიც და ყურადღება მიაქცია ნიკო მარრის მოსაზრებას ქების ობიექტის შესახებ, რომ ოდები ეძღვნება დავით აღმაშენებელს და არა თამარ მეფეს. აღსანიშნავია, რომ ექვთიმე თაყაიშვილს ხელთ ჰქონდა „აბდულმესიანის“ ხელნაწერი, რომელშიც ქების ობიექტად არჩილ მეფეა დასახელებული, ხოლო ავტორად –

იაკობ შემოქმედელი, რასაც მან კურიოზული ფაქტი უწოდა. ექვთიმე თაყაიშვილს მოხმობილი აქვს სტროფი, რომელშიც ქართველ მწერალთა – შოთა რუსთველის, არჩილ მეფის, სულხან-საბა ორბელიანისა და მამუკა ბარათაშვილის – მემკვიდრეობათა შეფასებაა მოცემული (თაყაიშვილი 1912: 57, 168). ე. წ. „აბდულმესიანის“, „თამარისა და დავითის ქების“ ატრიბუციისა და დანერის თარიღთან დაკავშირებული საკითხების შესახებ კვლევის თანამედროვე ეტაპზე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ამიტომ საკითხი კვლავ მოითხოვს დეტალურ შესწავლას, რაც ამ სტატიის ფარგლებს სცილდება.

1900 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა „მომამბეში“ გამოაქვეყნა სტატია „მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა“ (თაყაიშვილი 1968: 58-68). მან საგანგებო კვლევის საგნად აქცია „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფი, რომელშიც ბიბლიოგრაფიული ცნობებია დაცული და რომელთაგან საგანგებოდ განიხილა სარგის თმოგველის „დილარგეთიანი“. მისი აზრით, რუსთველის დროს ცნობილი ყოფილა სარგის თმოგველის თხზულება, რომლის მთავარ გმირს სახელად დილარი ჰრქმევია და, მის კვალობაზე, თხზულებას კი – „დილარგეთიანი“. თუმცა, თავადვე აღნიშნავს, რომ „დილარგეთიანი“ თუ „დილარიანი“ შეიძლება მხოლოდ პირობითად ვახსენოთ, რადგან რუსთველის პოემის მთავარი გმირი ტარიელია, მაგრამ პოემას ტარიელიანი კი არა, „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია. იგი იმონმებს ჩახრუხაძის შესხმიდან ერთ ტაეპს, „მოუბარისა, მის მდულარისა, დილარგეთისგან აღშფოთებულად“. მისი აზრით, „დილარგეთიანი“ ჩახრუხაძის თხზულებაზე ადრე უნდა ყოფილიყო დაწერილი, რადგან ჩახრუხაძე მას იმონმებს და, ფაქტობრივად, ესაა უძველესი ცნობა სარგის თმოგველის მიერ „დილარგეთიანის“ შექმნის თაობაზე. შემდეგი კი რუსთველისეული სტროფის ცნობაა.

ექვთიმე თაყაიშვილმა დაიმონმა ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობიდან“ სტროფი სარგის თმოგველის შესახებ, რომელშიც იგი მიჩნეულია შოთა რუსთველის მსგავს ფილოსოფოს, სიბრძნისმოყვარე და საუკეთესო პოეტად:

„სარგის ესეცა, შოთაებრი არს კაცი,
სიბრძნის მოყვარე, ფილოსოფოს, გამომთქმელ,
რიტორ მშვენიერ, პიიტკოს საქებელ,
თვით შოთა იტყვის: დილარგეთ უქია მას,
საქებ არს ესე, თქმულთა მათთვის მიზეზთა“ (ანტონ I).

მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნით, ანტონს ეს უთქვამს შოთას სიტყვებისა და „ქართლის ცხოვრების“ საფუძველზე, რაც იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ ანტონს სხვა ცნობები ჰქონოდა ხელთ „დილარიანისა“ და მისი ავტორის შესახებ (თაყაიშვილი 1968: 5). ყოველ შემთხვევაში, მისი აზრით, ანტონის დროს ძველი „დილარიანი“ არ ყოფილა შემონახული და სწორედ ამ პერიოდში დაბადებულა აზრი თხზულების აღდგენის შესახებ.

ექვთიმე თაყაიშვილმა თავის ნარკვევში „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერების განხილვის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ე. წ. „დილარიანს“, რომლის ავტორია პეტრე ლარაძე, არაფერი აქვს საერთო კლასიკური პერიოდიდან ჩვენამდე არმოღწეული სარგის თმოგველის „დილარგეთიანთან“; ის შექმნილია პეტრე ლარაძის მიერ და დაიბეჭდა თბილისში 1903 წელს ზაქარია გული-საშვილის თაოსნობით. ექვთიმე თაყაიშვილმა გულისწყრომა გამოხატა პეტრე ლარაძის განცხადების გამო, თითქოს მისი „დილარიანის“ თავდაპირველი რედაქცია იოანე ბატონიშვილმა მიითვისა. ექვთიმე თაყაიშვილის განცხადებით, პეტრე ლარაძე არ არის მართალი. მან გაარკვია, რომ გამოქვეყნებული ტექსტი პეტრე ლარაძის საისტორიო პოემის ნაწილია („საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“). ექვთიმე თაყაიშვილი საგანგებოდ შეეხო პეტრე ლარაძის „დილარიანს“ და განსაზღვრა, რომ „დილარიანის“ დაწერის სურვილი სხვებსაც ჰქონიათ, მაგრამ მხოლოდ პეტრე ლარაძეს შეუქმნია. მისი დაწერა ქართლ-კახეთის მეფისაგან (ე. ი. ერეკლე მეორისაგან) ადრევე ჰქონია დავალებული, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ შეუსრულებია. ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს, რომ ამ თხზულებაზე დიდი გავლენა მოუხდენია მითოლოგიას. მოსე ჯანაშვილს „დილარიანად“ აღიარებული თხზულების 2 თავი რუსულად უთარგმნია და იგი სარგის თმოგველის ნაშრომად მიუჩნევია. ექვთიმე თაყაიშვილმა იგი შეადარა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს“ და აღნიშნა, რომ მათ შორის საერთო არაფერია (თაყაიშვილი 1968: 59-68). მისი დასკვნით: „დილარიანად“ აღიარებული თავები მოგვიანებით არის შეტანილი „ამირანდარეჯანიანის“ თავებში და ისინი არ ეკუთვნის არც მოსე ხონელს, არც სარგის თმოგველს, არამედ „ვილაც ქრცხინვალელ კაცს, არაუადრეს XVII საუკუნისა. უფრო საგულისხმოა, რომ ავტორი XVIII საუკუნეს ეკუთვნის. სხვებ ხელნაწერებში შეიძლება იყოს დაცული სახელი იმ ქრცხინვალელი კაცისა, რომელსაც შეუთხზავს „ჯიმშერიანი“ და ჩაუკერებია „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერში. ყველა ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ ვგონებთ ნება გვაქვს ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: ზემოაღნიშნული ორი თავი ზოგიერთ „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერებისა არც „ამირანდარეჯანიანის“ ავტორს ეკუთვნის, არც ძველი „დილარიანის“ ნაწყვეტს წარმოგვიდგენს, არამედ შეადგენს განცალკევებულს შრომას „ჯიმშერიანს“, შეთხზულს არაუადრეს XVII საუკუნისა ერთი ვინმე ქრცხინვალელის ავტორის მიერ“ (თაყაიშვილი 1968: 68).

ცალკე განხილვას იმსახურებს ექვთიმე თაყაიშვილის **რუსთველოლოგიური მოღვაწეობა**. „ვეფხისტყაოსნისადმი“ სიყვარული ექვთიმეს ოჯახიდანვე მოსდგამდა. მამიდამისს ზეპირად სცოდნია რუსთველის პოემა. ექვთიმეს თავის მოგონებებში აღნიშნული აქვს, ანბანის რომელ ასოსაც დაუსახელებდნენ, იმ ასოზე დაწყებული სტროფი მყისვე ზეპირად შეეძლო ეთქვაო. თუ ვინმე რაიმეს შეცვლიდა პოემის ტექსტში ან დამახინჯებულად წარმოთქვამდა „ვე-

ფხისტყაოსნის“ სტროფებს, მყისვე შეუსწორებდა. საამისოდ შესაფერისი მაგალითებიც აქვს დამონმებული.

ექვთიმე თაყაიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლაში; უწინარეს ყოვლისა, მან აღწერა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, აგრეთვე, სხვა ფონდების რამდენიმე ხელნაწერი, შეისწავლა მათი წარმომავლობა, ისტორია, შედგენილობა, ორთოგრაფია, იკითხვისები. მან სხვადასხვა თვალსაზრისით იკვლია რუსთველის პოემა, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური და ფილოლოგიური კუთხით გამოავლინა მისი ხელნაწერებისა და 1712 წლის ვახტანგ მეექვსისეული პირველი გამოცემის ღირებულება, განსაზღვრა მათი მნიშვნელობა რუსთველოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის. ამ კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური კვლევის თანამდევნი იყო კონცეპტუალურ რუსთველოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობა.

ექვთიმე თაყაიშვილს ყოველთვის ჰქონდა იმის იმედი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ადრინდელი, XVII საუკუნემდელი ხელნაწერი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. თავადვე აღნიშნავს, რომ მან მოაგროვა 16 თუ 17 ხელნაწერი, რომელთა შორის ზოგიერთი უაღრესად საყურადღებო აღმოჩნდა როგორც ვარიანტებით, ისე საუცხოო მხატვრობითა და არშიათა შემკულობით. ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, 25-მდე ხელნაწერი, რომელთაგან რამდენიმე მათგანის აღწერილობა იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას თავიანთი ღირებულების გამო; იგი ძალიან კარგი მთხრობელია და საინტერესოდ გვიამბობს 1646 წლის მამუკა თავაქალაშვილისეული, წერეთლისეული, გიორგი მეფისეული და ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერების ისტორიას. აღწერილობის შედგენამ საკითხის განზოგადების საშუალება მისცა. ხელნაწერთა აღწერილობის დასრულების შემდეგ კი მან შეაჯამა კვლევისა და აღწერილობის შედეგები, განსაზღვრა ხელნაწერთა რაობა და გამოყო ჯგუფები რედაქციების მიხედვით, რაც რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის უაღრესად ფასეული და მნიშვნელოვანი იყო, როგორც ერთ-ერთი ეტაპი ამ დარგის განვითარების ისტორიაში.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ხელნაწერები, რომელთაგან რამდენიმე პეტრე ლარაძის მიერ გადანერილი ხელნაწერის ჯგუფისაა: 1. თვით პეტრე ლარაძის მიერ 1827 წელს გადანერილი S-4732, რომელიც ადრე ეკუთვნოდა თავად ნიკოლოზ თადეოზის ძე ჩოლოყაშვილს, შემდეგში იგი 1877 წელს შეუძენია დ. ზ. ბაქრაძეს. ხელნაწერს დართული მინაწერებიდან საყურადღებოა პ. ლარაძის სიტყვები, რომლითაც ხელნაწერის წყაროდ, დედნად არტანუჯულ ვარიანტს ასახელებს, ხოლო არტანუჯული ხელნაწერის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი, როგორც ძველი ხელნაწერი, გადასაწერად მოუპოვებია გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს (თუმანოვს),

რადგან არსებული ხელნაწერები და გამოცემა „ფრიად განრყუნილნი და არად სახმარნი“ იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული რედაქცია არ შემონახულა და მისი ხსენება მისტიფიცირებულია (საკითხი უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ). ზემოხსენებულ ხელნაწერში სტროფთა რაოდენობა ვახტანგისეულსა და ჩუბინაშვილისეულ გამოცემებს უახლოვდება, რითაც იგი ყურადღებას იქცევს, როგორც ტექსტის მოკლე ვარიანტი. 2. 1832 წელს პეტრე მოსეს ძე ტაბლიაშვილის მიერ გადაწერილი S-1586 ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა ქეთევან გიორგი ერისთავის ასულს, ჯამბაკურ-ორბელიანის მეუღლეს. იგი ლარაძისეული ხელნაწერიდანაა გადაწერილი. 3-4. 1825 წელს S-2686 ხელნაწერის ტექსტი სრულიად ემთხვევა წინა ხელნაწერისას; S-2781-იც ამავე ჯგუფისაა; 5. XIX ს. I მესამედში სტეფანე ჩიგიანაშვილის მიერ გადაწერილი ხელნაწერი S-1515; 6. სიმონ ივანეს ძე ყორღანაშვილის მიერ 1849-1850 წელს გადაწერილი S-3442; 7. პეტრე ლარაძის ჯგუფის S-305, იოანე იოსების ძე ლარაძის გადაწერილი XIX ს.; 8. S-3441 ლარაძის ჯგუფისა, 1840 წელს დაწყებულია გადაწერა; 9. S-3430 ვახტანგისეული რედაქციისა, რომელიც ბექდვის შესახებ ცნობას ზუსტად იმეორებს; 10. S-2315 ფრაგმენტული ხელნაწერი XIX ს. I. ნახევრისა; 11. ასევე ფრაგმენტულია S-1418; 12. S-1727 რაფიელ ერისთავის ბიბლიოთეკიდან, ავთანდილ ამილახვრის მეუღლის, ანას მიერ გადაწერილი თავის ვაჟისთვის 1825 წლის 25 ოქტომბერს დაუსრულებია გადაწერა; ვრცელი ვარიანტი, ნანუჩა ციციშვილის ნახელავის დართვით; 13. ვრცელი ვარიანტია 1805 წელს ესოვ ბეგთაბეგოვის გადაწერილი S-4527; 14. S-3077, ფრაგმენტული, თუმცა, ჩანს ნანუჩა ციციშვილისეული ტექსტის ფრაგმენტებიც, ე. ი. ვრცელი ვარიანტისა; მას ექვთიმე თაყაიშვილი ათარიღებს XVII საუკუნით; 15. S-4499 ძვირფას ხელნაწერთა რიგს განეკუთვნება, თუმცა ნაკლებია; ექვთიმე თაყაიშვილი ათარიღებს XVII საუკუნის მეორე ნახევრით; ესეც ვრცელი რედაქციისაა. იგი იდგირში სომხის ოჯახში უპოვია და უყიდია თავად მიხეილ ალექსანდრეს ძე ნაკაშიძეს. ხელნაწერის ბოლოს არის ორი სტროფი, რომელთაგან ერთ ტაეპში ნახსენებია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამგრძელებელი სარგისი: „სარგისს დაურჩა უთქმელად, ჩვენ ესე დავიბრალებით...“ (თაყაიშვილი 1968: 26); 16. ვრცელი რედაქციისა 1688 წელს საგანგებოდ გადაწერილი ერეკლე პირველის სახლთუხუცესის პაპუა ბებურიშვილისათვის S-2829; 17. S-5006 წერეთლისეული ხელნაწერი, რომლის შესახებ უფრო ვრცლად საუბარია საჭირო მისი დიდი თავგადასავლისა და ღირებულების გამო და უფრო ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ფონდების რამდენიმე ხელნაწერი, კერძოდ: 1. საეკლესიო მუზეუმის დეფექტური ხელნაწერი A-363, რომელიც XVII საუკუნისად მიიჩნია; 2. ვახტანგისეული გამოცემიდან 1834 წელს იოსებ კუპალაძის მიერ გადაწერილი A-530; სათაუ-

რად აქვს: „ამა ჰამბავსა დასაწყისი. პირველ ამო და სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა, რომელნიცა უხმობენ ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით“;¹ 3. პ. კარბელაშვილის კუთვნილი, ნაკლული H-2610, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ათარილებს XVII საუკუნით; 4. მამუკა თავაქალაშვილის მიერ გადაწერილი H-599 და 5. სამეფო ოჯახის კუთვნილება, მდიდრულად შემკული ხელნაწერი H-54, რომელთაც ქვემოთ უფრო ვრცლად განვიხილავთ.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა სამი პარიზული ხელნაწერი P-10, P-11, P-12, რომელთაგან ბოლო ორი ფრაგმენტულია (თაყაიშვილი 1968: 48-49); რაც შეეხება P-10-ს, ესაა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღწერილი „ვეფხისტყაოსნის“ პარიზული ხელნაწერი, რომელიც ყაზანთ ბეყოას ქალს გადაუწერია 1702 წელს. ხელნაწერი ქართული ენის ცუდად მცოდნის მიერაა გადაწერილი, რის გამოც იოანე სარდლის შვილს, რომელსაც მისი შეძენა განუზრახავს, დაუწუნია და 112-ე ფურცლის არშიაზე მიუწერია, „ცუდი ვეფხისტყაოსანიაო“. ამჟამად ეს ხელნაწერი, სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად, ინახება პარიზის ნაციონალურ მუზეუმში ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში – P-10 (Georg.-10).

ახლა უფრო დეტალურად რამდენიმე ხელნაწერის შესახებ:

1. 1646 წლის 13 თიბათიდან 18 აგვისტომდე მამუკა თავაქალაშვილს, იმერეთის მეფის მდივანს, „ვეფხისტყაოსანი“ ლევან დადიანის კარზე ტყვეობისას გადაუწერია (H-599). 1820 წელს იგი აზნაურ გრიგოლ ანთაძეს ეკუთვნოდა, რასაც მონაშობს ხელნაწერს დართული მინაწერი. შემდეგ კი ხელნაწერი კორინთელს ჰქონია და ეს ჯერ კიდევ იმ კომისიისთვის იყო ცნობილი, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე, რომელსაც იონა მეუნარგია ხელმძღვანელობდა. 1380-ე სტროფთან, ავთანდილის თათბირის შემცველ სტროფთან გაკეთებული გადამწერის ერთადერთი ჩანაწერი კინოვარითაა შესრულებული, რომელშიც გადამწერი მამუკა მდივანი ღმერთს ევედრება. ექვთიმე თაყაიშვილმა ივარაუდა, რომ ეს სწორედ ის მამუკა მდივანი, თავაქალაშვილი თუ თავაქარაშვილია, რომელმაც XVII საუკუნეში გალექსა „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი ნაწილი „ზააქიანი“ ისევ ლევან II დადიანის კარზე ტყვეობისას. აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ხელნაწერში ჩართულია სპარსული სტილით შესრულებული 39 მინიატურა, რომლებიც საკმაოდ რთულ სცენებს ასახავს. მიუხედავად სპარსული სტილისა, შინაარსი არსებითად სწორადაა გააზრებული და ქართული სამყაროა

¹ საინტერესოა ხელნაწერებში დაცული სათაური: „ამა ჰამბავსა დასაწყისი. პირველ ამო და სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა, რომელნიცა უხმობენ ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით“. ხელნაწერებში დამონმებული ეს დასათაურება მრავალმხრივ მნიშვნელოვანია პოემის სათაურის გასააზრებლად და მთავარ პერსონაჟთა საკითხის გასარკვევად.

ასახული; მისივე დაკვირვებით, პოემის ტექსტი ვრცელია და შეიცავს ნაწილს ციციშვილის ჩანართ-დანართებს, რომლებიც, აგრეთვე, შემკულია მინიატურებით. დეტალურად აქვს აღწერილი შოთა რუსთველის მინიატურა. ექვთიმე თაყაიშვილმა ყურადღება გაამახვილა კინოვარით შესრულებული დასაწყისის დასათაურებაზე: „ამბავი დასაწყისი პირველი. ამო და სასმენლად შვენიერი სწავლისათვის მოშაირეთა, ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ“ (თაყაიშვილი 1968: 30). მანვე მიაქცია ყურადღება დასაწყისის სტროფთა შედგენილობას. აღნიშნა, რომ ხელნაწერი ამ ნაწილში დეფექტური არ არის, ამიტომ დასვა კითხვა, ხომ არ იყო მამუკასეული ხელნაწერის დედანი დეფექტური? ან ეკუთვნის თუ არა გამოტოვებული სტროფები რუსთველს, თუ უფრო გვიანდელი ჩანართია? ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ეჭვს იწვევს მე-15 სტროფი, რომელშიც ავტორი საკუთარი სიყვარულის შესახებ საუბრობს. რაც შეეხება სტროფთა თანმიმდევრობას, ჩუბინაშვილის გამოცემასთან შედარებით, ექვთიმე თაყაიშვილს ამ ხელნაწერის დასაწყისის თანმიმდევრობა მართებულად მიაჩნია. შემდგომმა კვლევა-ძიებამ და ტექსტოლოგიურმა დაკვირვებებმა ზოგიერთი სტროფის ადგილი დააზუსტა და შინაარსი უფრო მისაღები, ალქმადი გახადა. სარგის ცაიშვილის დასკვნით, ხელნაწერი მთლიანობაში „ვეფხისტყაოსნის“ პირველ რედაქციაში, ძველი რედაქციების შემცველ ხელნაწერთა რიგში თავსდება, ხოლო რედაქციათა კლასიფიკაცია თვით სარგის ცაიშვილს ეკუთვნის (ცაიშვილი 1984: 393).

2. ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერი, რომელიც სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა და ქართლის მეფის გიორგი XI-ის დაკვეთით იყო გადანერილი. მისი აღწერილობა მოცემულია II ტომში (თაყაიშვილი, 1912: 573-582). ესაა 1679-1680 წლებში ბეგთაბეგის მიერ გადანერილი H-54, რომლის გადანერის თარიღი ორგვარადაა აღნიშნული ხელნაწერში, ესაა გიორგი XI-ის მეფობის მეოთხე ინდიქტიონი, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის გათვლით, 1679 წელს შეესაბამება, ხოლო ქორონიკონით ეს იყო 368, რაც 1680 წელს შეესაბამება. ვრცელ მინაწერში გადამწერს მოთხრობილი აქვს გიორგი XI-ისთვის განკუთვნილი ხელნაწერის ისტორია, აღნიშნული აქვს, რომ მეფეს დიდი ხარჯი გაუწევია ხელნაწერის ღირსეულად შემკობა-გალამაზებისათვის, ბორდიურების მდიდრულად მოხატვისათვის, რათა იგი „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ხელნაწერთაგან გამორჩეული ყოფილიყო. გადამწერი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ასეთი მდიდრული ხელნაწერი არც ერთ სხვა მეფეს არ ჰქონია. ეს ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილმა შეაძენინა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მან შეაფასა კიდევ ეს ხელნაწერი, რომელიც გამოირჩევა დღემდე ცნობილ ხელნაწერთა შორის სპარსული ყაიდის პირველხარისხოვანი სამკაულებით არშიებზე. მიუხედავად ხელნაწერის იშვიათი სილამაზის ორნამენტული შემკულობისა, ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნით, ტექსტი რედაქციული თვალსაზრისით და სისწორით მაინცდამაინც

არ გამოირჩევა და მასში ნანუჩა ციციშვილის ხელწერა აშკარად იგრძნობა. გიორგი XI-სეული ხელნაწერი მოსკოვში ჰქონიათ წაღებული, სავარაუდოდ, ვახტანგ მეექვსის ოჯახს, რომელიც 1724 წლიდან უკვე რუსეთში იმყოფებოდა და ცხოვრობდა. ხელნაწერს აქვს მინაწერი, რომლის მიხედვით დგინდება, რომ 1791 წელს ერეკლე II-ის სახლთუხუცესის გრიგოლ ჩოლოყაშვილის შვილს, ქაიხოსროს, ერეკლე მეფის თანამედროვე კახეთის სახლთუხუცესა და ამილახვარს, მოსკოვში „უშოვნია“ „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი, ე. ი. შეუძენია და 1795 წელს (სხვების მითითებით – 1793 წელს) საქართველოში დაბრუნებულა და წიგნიც ჩამოუტანია (ცაიშვილი 1984: 3887-3888). მაგრამ შემდეგ ეს ხელნაწერი წიგნი აღმოჩნდა ერთი ქვრივი ქალის ხელში, რომლისგანაც შეისყიდა ხელნაწერი საზოგადოებამ. ეს ქვრივი ქალი გვარად ყაზახაშვილი ყოფილა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, მძიმე სოციალური ვითარების გამო, დედამ ერთ-ერთი ვაჟი ექვთიმეს მიუგზავნა და სთხოვა ხელნაწერის დაბრუნება, უცხოელები კარგ ფასად იყიდიანო. მან დაარწმუნა ყმანვილი, რომ ეს ხელნაწერი უძვირფასესი საგანძური იყო ქართველი ერისათვის. საბოლოოდ, ხელნაწერში 200 მანეთი გადაუხადეს ყოფილ პატრონს და ხელნაწერის თავგადასავალიც ასე დასრულდა. ხელნაწერი იმით გამოირჩევა, რომ მას მოსდევს საკმაოდ ვრცელი ბოლოსიტყვაობა გადამწერისა. ხელნაწერს დართული ეს ვრცელი მინაწერი თუ ანდერძი გადამწერისა საღვთისმეტყველო თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. ექვთიმე თაყაიშვილისეული აღწერილობა სწორედ იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ეს ბოლოსიტყვაობა აღწერილობაში მთლიანად ჩაურთო და მას შეფასებაც მისცა. ექვთიმე თაყაიშვილს დამონმებული აქვს ბოლოსწინა ფურცელზე ხუთი ოთხსტრიქონიანი შაირით დაწერილი ქება გიორგი მეთერთმეტისა; აგრეთვე, ბოლო ფურცლის პირველ და მეორე გვერდებზე პოემის გმირთა ქებაა მოცემული, რაც, ფაქტობრივად, პოემის პერსონაჟთა შეფასებაცაა.¹

3. შემდეგი ხელნაწერი, რომლის აღწერილობა განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს, არის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებიანი ხელნაწერი XVII საუკუნისა, წერეთლისეული ხელნაწერის სახელით ცნობილი S-5006; მისი ძველი ნომერი იყო S-4758; ექვთიმე თაყაიშვილისეულ აღწერილობაში და შემდეგ მოგონებებში ჩართულია მისი მოპოვების უაღრესად საინტერესო, ზოგჯერ ღიმილისმომგვრელი ისტორია. მასში 87 ფერადი მინიატურაა ჩართული. იგი გადამწერილია სპარსულ გასანთლულ ქალაღზე, რის გამოც ძნელი გასარჩევი იყო, ტყავზე იყო თუ ქალაღზე გადამწერილი; ერთხანს მცდარად მიაჩნდათ, რომ ხელნაწერი

¹ ხელნაწერებს დართული მინაწერები, ანდერძები, ლექსები, რომლებშიც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებია შექებული, ცალკე კვლევის საგანია და, ვფიქრობ, იგი მოითხოვს საგანგებო დაკვირვებას.

ტყავის მასალაზე იყო გადაწერილი. მინიატურები რამდენიმე მხატვრის მიერაა შესრულებული. მისი გადამწერიც და მინიატურების ავტორებიც უცნობია. ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი და შესაბამისად, არ ვიცით, როდის ან ვისი დაკვეთით გადაწერა და მოიხატა იგი. რედაქციული თვალსაზრისით ხელნაწერი ორ პლასტს შეიცავს. პირველი ნაწილი, ავთანდილის ფრიდონთან გამგზავრებამდე და ბოლო ნაწილი, ინდო-ხატაელთა ამბიდან მოყოლებული ბოლომდე, ვრცელი რედაქციიდანაა გადაწერილი, ხოლო დანარჩენი, პომის ძირითადი ტექსტის მეორე ნაწილი, ვახტანგისეული გამოცემიდანაა გადაწერილი (ცაიშვილი 1957: 55-61). იონა მეუნარგიამ ხელნაწერი ხელის მიხედვით XVIII საუკუნით დაათარიღა. ექვთიმე თაყაიშვილმა ეს თარიღი შეცვალა და XVII საუკუნის II ნახევარს მიაკუთვნა, ხოლო სარგის ცაიშვილმა ეჭვმიუტანლად დაასაბუთა, რომ ხელნაწერის ტექსტის ნაწილი ვახტანგის გამოცემიდანაა გადაწერილი, რაც იმას მოწმობს, რომ ხელნაწერი 1712 წლის შემდგომდროინდელია. უნდა აღინიშნოს, რომ მასში ტარიელისა და ფარსადანის სახელები სპარსული ფორმითაა მოცემული: ტარიალ და ფარსიდან; აგრეთვე, საინტერესოა სტროფი, რომელიც არც რუსთველს ეკუთვნის და არც სარგის თმოგველს: „ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად“ (თაყაიშვილი 1968: 27)

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში წერეთლისეული ხელნაწერის სახელითაა ცნობილი და მას მეტად საინტერესო ისტორია-თავგადასავალი აქვს, რაც თვით ექვთიმე თაყაიშვილს აქვს მოთხრობილი როგორც ხელნაწერის აღწერილობაში, ასევე თავის მოგონებებში. 1879 წლის 21 თებერვალს გაზეთმა „დროება“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ კნეინა პელაგია წერეთლისას აქვს ძველი წიგნები, რომელთა შორის გამოირჩევა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, შემკული ულამაზესი მინიატურებით. აღნიშნული იყო ისიც, რომ ტექსტი შეიცავდა ვრცელ ვარიანტს. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, აკადემიური გამოცემის მომზადების ინიციატორებმა, ამ გაზეთიდანვე თხოვნით მიმართეს საზოგადოებას, რომ მათთვის ეთხოვებინათ პომის ხელნაწერები. ამ ცნობას გამოუხმაურა გრიგოლ დავითის ძე გურიელი და რედაქციას ამცნო, რომ ბიძამისს, ქაიხოსრო გურიელს, წინაპართაგან გადმოეცა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ უძვირფასესი ხელნაწერი მინიატურებითურთ. იგი ვარაუდობდა, რა თქმა უნდა, გადაჭარბებით, რომ ეს ხელნაწერი უნდა იყოს ან პირველი ხელნაწერი, ავტორის ხელიდან გამოსული, ან მისგან გადანაწერი. იგი იმასაც ამცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას, რომ ხელნაწერი ჰქონდა მის ბიძაშვილს პელაგია გურიელის ქალს, ნესტორ წერეთლის მეუღლეს და ურჩია კომისიას, მისთვის მიემართა თხოვნით, ცხადია, იგი თხოვებაზე უარს არ იტყოდა. ამ ცნობას ახლდა

შემდეგი შინაარსის სარედაქციო შენიშვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი იყო მინიატურებიანი, რომელთა ფასი ოქროთი განისაზღვრებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილის მონათხრობის მიხედვით, ერთ-ერთი ამგვარი ხელნაწერი პოემისა ჰქონდა იმერეთის მეფე სოლომონ პირველს, რომელსაც ვაჟები ადრე გარდაეცვალა, ხელნაწერი დარჩა მეფის ასულს დარეჯან ბატონიშვილს, რომლის შვილი იყო ივანე აბაშიძე. XVIII საუკუნის II ნახევარში სოლომონ I-ის დავალებით „ვეფხისტყაოსნის“ ძველი, დაზიანებული ხელნაწერი, შემკული შესანიშნავი მინიატურებით, განუახლებიათ. განახლებისას ტექსტი ხელახლა გადაუნერიათ, მინიატურები კი ძველი ხელნაწერიდან ახალში გადაუტანიათ. რადგან მათი ფორმატი განსხვავებული იყო, – მინიატურები უფრო მცირე ზომის ქაღალდზე ყოფილა შესრულებული, ვიდრე თვით ტექსტი, – ამიტომ მისთვის არშიები შემოუნებებიათ და წიგნის ზომაზე დაუყენებიათ. ზოგიერთი მინიატურა კი დაზიანებული ყოფილა და ამიტომ ახალ ხელნაწერში აღარ გადაუტანიათ, მაგრამ დაუმატებიათ ერთი ახალი მინიატურა. ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ძველ ხელნაწერს აკლდა, ვახტანგ VI-ის მიერ 1712 წელს დაბეჭდილი გამოცემის მიხედვით შეუესიათ. პოემის ბოლოში კი გაგრძელებებიც დაურთავთ სხვა ხელნაწერებიდან. ეს ახლადგადანერილი და მინიატურებით შემკული „ვეფხისტყაოსანი“ მხარტვეს სოლომონ მეფეს. ხელნაწერი შემდეგ აღმოჩნდა მეფის ასულის დარეჯანის ხელში, რომლის მეუღლე იმერელი თავადიშვილი ქაიხოსრო აბაშიძე იყო. სწორედ მათი შვილი იყო ივანე აბაშიძე, რომელიც 1819 წლის იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობდა. აჯანყების დროს რუსებმა შეიპყრეს მონაწილეებიც და დარეჯან სოლომონ მეფის ასულიც. რუსეთის ჯარმა აჯანყება ჩაახშო, ხოლო აჯანყების მონაწილენი, დამარცხებული ქაიხოსრო გურიელი და ივანე აბაშიძე ოსმალეთში გადაიხვეწნენ. ივანე აბაშიძემ იცოდა, რომ იმერეთში მის ოჯახს დაარბევდნენ და ძვირფასი საოჯახო რელიქვიები თან წაუღია; მათ შორის აღმოჩნდა სოლომონ მეფის ნაქონი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი. ეს ხელნაწერი შემდგომში გურიელების ოჯახში ინახებოდა და იგი მზითვად წაიღო ქაიხოსრო გურიელის ასულმა პელაგიამ, რომელიც საჩხერეში ნესტორ წერეთელზე იყო გათხოვილი.

1880 წელს ხელნაწერის პატრონმა იგი დიმიტრი ყიფიანის ხელით დროებით გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელმაც მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელნაწერი პატრონს დაუბრუნა. კომისიამ ხელნაწერთა მოკლე დახასიათებები გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ 1881 წელს. ამ ხელნაწერის მფლობელი შემდგომში გამხდარა გიგო წერეთელი, რომლის ვაჟიშვილს, ფრიდონს, ხელნაწერი რესტავრაციის მიზნით თბილისში ჩამოუტანია და კარგ ყდაში ჩაუსამევიანებია. როდესაც ფრიდონ წერეთელი ეტლით შინ ბრუნდებოდა, წიგნი ეტლში დარჩენია. ის ცნობილი ქართველი ვაჭრის, ფორაქიშვილის, ერთ ნოქარს უნახავს და ფორაქიშვილისთვის გადაუცია, მან კი მყისვე ექვთიმე თაყაიშვილს დაუნყო ძებნა, რათა ქართველთა შორის წერა-

კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეეძინა. ექვთიმე შინ არ დახვედრია, რის შემდეგაც ნოქარმა ეს ხელნაწერი ფორაქიშვილის სიძეს, დავით სარაჯიშვილს მიუტანა. მან სამი თუმანი გადაუხადა ხელნაწერში. მცირე ხნის შემდეგ დავით სარაჯიშვილმა სადილად მიიპატიჟა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც შესვლისთანავე ხელნაწერი აჩვენა. ექვთიმემ ჩვეული სიდინჯით აიღო ხელნაწერი წიგნი და დავით სარაჯიშვილს უთხრა, რომ წიგნს თან წაიღებდა და კარგად შეისწავლიდა, სარაჯიშვილიც დასთანხმდა, ოღონდ ერთი პირობით, მალე უნდა დაებრუნებინა, რადგან ბარონ დე ბაისათვის უნდა ერუქებინა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ექვთიმე თაყაიშვილის დამოკიდებულება ქართველი თავადიშვილების საქციელისადმი, რომლებიც ყველაზე ძვირფას საჩუქარს უცხოელს მიართმევდნენ ხოლმე. იგი ასეთ ფაქტს ვერ ეგუებოდა და ქართველთა უდიდეს ნაკლად მიაჩნდა. ექვთიმე ამასთან დაკავშირებით იხსენებს რამდენიმე ფაქტს: 1. ერთმა თავადიშვილმა ერეკლეს ნაქონი თოფი, რომლითაც კოხტა ბელადი მოკლა ასპინძის ომში, მეფისნაცვალს მიართვა. მან უკანვე დაუბრუნა შემდეგი სიტყვებით: „ეს თქვენთვის ძვირფასი სახსოვარია და თქვენთანვე უნდა დარჩეს“; 2. ალექსანდრე ორბელიანმა, 1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულების მოთავემ და მონაწილემ, ვორონცოვს აჩუქა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერი XVII საუკუნისა, საიდანაც შემდგომში გაგარინმა გადმოიღო შოთა რუსთველის სურათი. ეს ხელნაწერი შემდგომში აღმოჩნდა ვორონცოვის არქივში, საბედნიეროდ, იგი დაკარგვას გადაურჩა; 3. ვლადიმერის ღვთისმშობლის ცნობილი ხატი რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე II-ს აჩუქეს ქართველებმა, მაგრამ მან არ იჩუქა, როგორც ძვირფასი განძი ქართველებისათვის, და უკან დააბრუნა. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვით, სწორედ ასეთ რამეს აპირებდა დავით სარაჯიშვილი, როდესაც ბარონ დე ბაისათვის უნდოდა „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ხელნაწერის ჩუქება. ბარონი დე ბაი დილეტანტი იყო კულტურაში, სიძველეებს ეძიებდა, აგროვებდა, მაგრამ როგორც მეცნიერი, ღირებულებით არ გამოირჩეოდა. დავით სარაჯიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილს რამდენჯერმე მიაკითხა ხელნაწერის წასაღებად, მაგრამ ექვთიმე ერთსა და იმავეს პასუხობდა, რომ ჯერჯერობით ხელნაწერი დეტალურად შესწავლილი არ ჰქონდა და ვერ გაატანდა. ამასობაში დავით სარაჯიშვილი დე ბაისთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრა, თუმცა, სარაჯიშვილის მიუღწეველ ეკატერინე ფორაქიშვილი ექვთიმესთან ხელნაწერის დასაბრუნებლად ხშირად გზავნიდა კაცს. ექვთიმე თაყაიშვილმა გადანწყობა, რომ ამ საქმისთვის ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიეხედა და ხელნაწერი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს გადასცა. მან მისი აღწერილობაც გამოსცა. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა დავით სარაჯიშვილმა ისევ მოიკითხა ხელნაწერი, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილმა უთხრა, რომ მისი სახელით შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და აღწერილობაც

გამოსცა. თან აჩვენა კიდევ აღწერილობის ტომი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ხელნაწერი საზოგადოებას დავით სარაჯიშვილმა შესწირა. დავით სარაჯიშვილს გაუცინია და ხელნაწერისთვის თავი დაუწებებია. სწორედ ამ დროს მიიღო ხელნაწერმა კატალოგში პირველი, ადრინდელი ნომერი S-4758.

ექვთიმე თაყაიშვილი ხელნაწერის თავგადასავალს აგრძელებს, რადგან იგი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა განსაცდელის წინაშე. ერთხელ ექვთიმეს ესტუმრნენ ძმები წერეთლები, წარმოსადგეი, ძალიან სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდები, აგრეთვე ზრდილობიანი სიტყვა-პასუხით გამორჩეულნი. მათ უამბეს ხელნაწერის ისტორია, როგორ ერგოთ მემკვიდრეობით, შემთხვევით როგორ დარჩათ ეტლში და სთხოვეს, ცოტა ხნით ეთხოვებინა მათთვის ეს ხელნაწერი, რათა დედამისი დაერწმუნებინათ, რომ ხელნაწერი დაკარგული არ იყო. ექვთიმე თაყაიშვილმა მათ აუხსნა, რომ ეს ხელნაწერი სხვისი ნაყიდი იყო და ამჟამად იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. ბოლოს ექვთიმე იძულებული გახდა, დაენერა წერილი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის სახელზე, რის საფუძველზეც ძმებმა ხელნაწერი დროებით წაიღეს. მაგრამ წერეთლებმა ხელნაწერი აღარ დააბრუნეს. ამასობაში ექვთიმე თაყაიშვილს საჩხერეში არქეოლოგიურ გათხრებზე მოუხდა წასვლა, სადაც იგი შეხვდა წერეთელზე გათხოვილ ელისაბედ ნულუკიძის ასულს, რომელთან სტუმრობისას ექვთიმემ შეიცნო ძმები წერეთლები და მათი მისამართით საყვედური გამოთქვა. ძმებმა სირცხვილისაგან ვეღარაფერი თქვეს, მაგრამ დაჰპირდნენ, რომ მალე ჩაუტანდნენ წიგნს თბილისში. ექვთიმე თაყაიშვილმა თბილისში დაბრუნებისთანავე მოიკითხა წიგნი, რომლის შესახებაც თანამშრომლებმა მოახსენეს, რომ უკვე მოიტანესო. ექვთიმემ დაათვალიერა წიგნი. იგი ამჯერად ფრიდონ წერეთლის შემოწირულობად გატარდა მუზეუმის საინვენტარო დავთარში 5006 ნომრად. ხელნაწერში, რომელიც ამჯერად ექვთიმეს აღარ გადაუთვალიერებია, 87 მინიატურიდან 10 ისე ოსტატურად იყო ამოჭრილი, რომ ხელნაწერს არაფერი ეტყობოდა. 1911 წლის ბოლოს ექვთიმე თაყაიშვილმა ოქსფორდიდან მიიღო ოლივერ უორდროპის წერილი, რომელშიც ექვთიმეს ამცნობდა, რომ ვილაც სომეხს, ანტიკვარიატის მოყვარულს, მასთან მიუტანია „ვეფხისტყაოსნის“ უძვირფასესი მინიატურები გასაყიდად. უორდროპმა წერილთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილს მათი ფოტოპირებიც გადაუგზავნა. ექვთიმემ იგი მაშინვე იცნო და შეადარა წერეთლისეულ ხელნაწერს და დარწმუნდა, რომ ეს ვილაცას ამოჭრილი ჰქონდა სწორედ ამ ხელნაწერიდან. ოლივერ უორდროპმა ამ ხელნაწერის ისტორია იცოდა, რადგან ხელნაწერი მარჯორისათვის უჩვენებიათ თბილისში ყოფნისას. ექვთიმე თაყაიშვილმა სთხოვა ოლივერ უორდროპს, შეეძინა ეს სურათები და გამოეგზავნა მისთვის. 1912 წლის იანვარში ვაჭრებმა სურათები თბილისში ჩამოიტანეს და ექვთიმეს მიუტანეს. საზოგადოებამ 275 მანეთი გადაუხადა ამ სურათებში ვაჭრებს, ხოლო თვით მინიატურები ისევ ჩააკრეს ხელნაწერ-

ში. ამჟამად იგი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, S ფონდშია დაცული ნომრით 5006 (თაყაიშვილი 1968).

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ხელნაწერი არაერთგზის გამხდარა მსჯელობის საგანი თავისი განსაკუთრებული თავგადასავლისა და მრავალმხრივი ღირებულების, კერძოდ, კოდოლოგიური და ტექსტოლოგიური ღირებულების გამო; მათ შორის გამოირჩევა თვით ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობა; სხვადასხვა მიზანდასახულობით მას იკვლევდნენ სარგის ცაიშვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვები თავიანთ სამეცნიერო შრომებში (ცაიშვილი 1984: 374-375; ამირანაშვილი 1966: 17-24).

4. ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა, აგრეთვე, ელენე თარხან-მოურავისეული სახელით ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერი, რომელიც დაცულია ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში – W-27¹. როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, აღწერილობის დედანი აღმოაჩნდა ექვთიმე თაყაიშვილის მემკვიდრეს, ლიდა პოლტორაკციას, ხოლო დასაბეჭდად მოამზადა და რედაქციას გადასცა იოსებ მეგრელიძემ. პირველად ეს აღწერილობა გამოქვეყნდა 1962 წელს ჟურნალ „მნათობში“ (თაყაიშვილი 1962: 139-142), საიდანაც გადაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის „რჩეული ნაშრომების“ I ტომში (თაყაიშვილი 1968: 43-48). ამ ხელნაწერსაც საინტერესო ისტორია აქვს. იგი პოლიევეტოს კარბელაშვილის თაოსნობით შეიძინა ერისთავის ასულმა ელენემ, თარხან-მოურავის მეუღლემ. ელენე თბილისიდან ყირიმში გადასახლდა და იალტის მახლობლად ქუჩუკ-ლამბადაში თავის მამულში ცხოვრობდა. 1912 წელს ექვთიმე თაყაიშვილი ელენეს ესტუმრა, მისი მიზანი ხელნაწერი წიგნის წამოღება და სხვა ძველი წიგნების ნახვა იყო. მაგრამ ელენეს ხელნაწერი სევასტოპოლის ბანკში ჰქონდა შენახული და ექვთიმეს დაჰპირდა, რომ ხელნაწერს უთუოდ გაუგზავნიდა თბილისში. აგრეთვე, დატოვებდა ანდერძს თავისი ძვირფასი ისტორიული ღირებულების მქონე წიგნების საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის გადასაცემად. ელენეს სიძე, იოსებ დადიანი, სტუმრად ყოფილა ქუჩუკ-ლამბადაში ელენესთან, რომელსაც ეს ხელნაწერი შეუძღვია სიძისთვის, რათა ექვთიმე თაყაიშვილისათვის გადაეცა. მაგრამ იოსებს რაღაც მიზეზთა გამო მაშინ იგი არ წაუღია, რასაც შემდეგში ნანობდა. მაგრამ ეს ხელნაწერი იოსებ დადიანმა იყიდა სტამბოლში და 1923 წლის 16 ივლისს ექვთიმეს გადასცა. ექვთიმე თაყაიშვილმა ამ ხელნაწერის ტექსტი შეუდარა სარგის კაკაბაძის 1913 წლის

¹ ე. თაყაიშვილის თხზულებათა I ტომში, სქოლიოში ხელნაწერის ნომერი შეცდომით, შესაძლოა კორექტურული შეცდომით, არის მითითებული: W-17, სინამდვილეში ესაა W-27, თარხან-მოურავისეული ხელნაწერი (თაყაიშვილი, 1968: 43). ხელნაწერის შესახებ, ექვთიმე თაყაიშვილის გარდა, სხვა მეცნიერებიც მსჯელობენ (იხ.: ყუბანეიშვილი, 1959: 312; ცაიშვილი, 1963: 63, 121; ლენგი, 1957: 151).

პირველ გამოცემას, რადგან იმ დროისათვის ეს იყო ერთადერთი გამოცემა, რომელსაც ჩამატებები და გაგრძელებები ჰქონდა, ხელნაწერი კი ვრცელი რედაქციისაა. კოდიკოლოგიური საკითხების დადგენისას ექვთიმე თაყაიშვილმა დასვა საკითხი ხელნაწერის გადამწერის შესახებაც, თუმცა, ხელნაწერი წიგნის მონაცემები მისი დადგენის საშუალებას არ იძლეოდა (თაყაიშვილი 1968: 43-48). „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა აღწერილობის დასკვნით ნაწილში ექვთიმე თაყაიშვილმა გააკეთა ხელნაწერთა კლასიფიკაცია თარიღებისა და რედაქციების მიხედვით და მან პირველმა დაადგინა:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენს დრომდე მოღწეული არც ერთი ხელნაწერი არ არის XVII საუკუნის I ნახევარზე უფრო ადრინდელი;¹ აგრეთვე დაასახელა ეს ხელნაწერები აღწერილობის ნომრების მიხედვით; ესენია S ფონდის შემდეგი ხელნაწერები „ვეფხისტყაოსნისა“: №№327, 328, 329, 330, 331, 333, 334, 335, რომლებიც შეიცავენ ჩანართ სტროფებსა და ნაწუჩა ციციშვილის დანართებს (თაყაიშვილი 1968: 35-36);

2. შემდეგ, XVII საუკუნეში, „ვეფხისტყაოსნისათვის“ დანართების სახით პოემა ვინმე ნაწუჩა ციციშვილს გაუგრძელებია; თუმცა, მხოლოდ იგი არ ყოფილა გამგრძელებელი, „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ბევრი გამგრძელებელიც პყლია (თაყაიშვილი 1968: 35-36);

3. ყველა ძველ ხელნაწერს, კერძოდ, ვახტანგ მეექვსის გამოცემამდე ხელნაწერებს, ახლავს ჩანართები და დანართები, რაც იმას მოწმობს, რომ ინტერპოლაციების ჩართვა „ვეფხისტყაოსანში“ ადრევე დაწყებულა;

4. იმ ხელნაწერებშიც, რომლებიც გვიანდელია, ე. ი. XVII საუკუნის შემდგომდროინდელია, არის ჩანართ-დანართები, რადგან ისინი მომდინარეობენ XVII საუკუნეების ხელნაწერებიდან; მითითებულია აღწერილობათა ნომრებიც: №№323, 324, 325 (თაყაიშვილი 1968: 35-36);

5. ყველა დანარჩენი ხელნაწერი, გარდა ვახტანგ მეექვსის გამოცემიდან მომდინარე ხელნაწერებისა – №321 და №332-ისა, მომდინარეობენ ერთი დედნიდან – არტანუჯული ვარიანტიდან, რომლის ასლად პეტრე ლარაძის გადანერილ ხელნაწერს მიიჩნევს. ესენია: №№314, 315, 316, 317, 318, 319, 320 და 322 (თაყაიშვილი 1968: 35-36);

6. რაც შეეხება არტანუჯულ ვარიანტს, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, თუკი იგი საერთოდ არსებობდა, ძნელია მსჯელობა მხოლოდ პეტრე ლარაძის გადანერილი ასლის მიხედვით, რადგან ძველი ფორმა არაა „მეფა“, რომელიც „მეფის“ ნაცვლად გვხვდება და რომელიც პირველად ვახუშტის აქვს გამოყე-

¹ ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, 1963 წელს ახალციხის ისტორიულ მუზეუმში სამეცნიერო მივლინებით მყოფმა ილია აბულაძემ და მიხეილ ქავთარიამ იპოვეს „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტული ხელნაწერი, რომელიც ილია აბულაძემ XVII ს. მინურულით დაათარილა (აბულაძე, 1964: 142-150).

ნებული; იგი-ს ნაცვლად იგა, ე. ი. აქ შეინიშნება რუსული ენის გავლენის შედეგად დამკვიდრებული ახალი ფორმები; ძველ ხელნაწერებს არ ახასიათებთ „და“ კავშირის გამოტოვება მეოთხე ტაეპის წინ, რაც XVIII საუკუნემდე არ იყო მოსალოდნელი; ნახევარხმოვან უ-ს გამოყენება, რაც პირველად ანტონ პირველმა შემოიღო; უცხო მოყმის არაბეთში გამოჩენის ამსახველი სტროფი ხელნაწერში უხერხულ ვარიანტს შეიცავს: „ჯდა მტირალი წყალის პირსა“, რაც ძველი ქართული ენის ნორმებს არ შეესაბამება; ზოგჯერ შეცვლილია ლექსიკური ერთეულიც: „მივაჭირვე“ შეცვლილია სიტყვით „შევანუხე“ და სხვა, თუმცა, შესაძლოა პეტრე ლარაძემ ძველი ხელნაწერი გადანერა, მაგრამ ეს ცვლილებები თავად შეიტანა თავის გადანერილ ტექსტში, რაც შეიძლება დადასტურდეს პეტრე ლარაძისავე გადანერილი ძველი ტექსტებით. ამგვარი ცვლილებები და ორთოგრაფიული შესწორებები შეჰქონდათ XVIII-XIX სს. საუკუნეებსა გამამწერებს, მაგ., დავით რექტორს; ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ლარაძე არ ცვლიდა ტექსტის თანმიმდევრობასა და რაოდენობას, რაც ძველ ხელნაწერში იყო. მისი აზრით, ე. წ. არტანუჯული ვარიანტის, უფრო კი ლარაძის ასლის მიხედვით პეტრე ლარაძის გადანერილი ტექსტის ღირსება ისაა, რომ მასში არაა ყველა ძველ ხელნაწერში არსებული ჩანართი სტროფები და დანართები; მაგრამ მისი მნიშვნელობა არ აღემატება ვახტანგისეულ გამოცემას. ჩვენთვის ამჯერად მთავარი ისაა, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა შენიშნა „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. არტანუჯული ვარიანტის ხელნაწერად მიჩნეული ნუსხის თავისებურებები, კერძოდ, შედგენილობა, ორთოგრაფიული ვარიანტები, რომელთა არსებობა ხელნაწერში მთლიანად აქარწყლებს ამ ვარიანტის სიძველის შესახებ გავრცელებულ ლეგენდებს. კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ს. ცაიშვილმა ტექსტზე დაკვირვებისა და სხვა რედაქციებთან// ვარიანტებთან შედარების საფუძველზე დაასკვნეს, რომ ე. წ. არტანუჯული ვარიანტის არსებობა ლეგენდურია (ცაიშვილი 1984: 323).

არტანუჯული ვარიანტის შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა. ექვთიმე თაყაიშვილის დასკვნებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მემკვიდრეობაში სწორ ორიენტირებას შემდგომი კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა და მას ითვალისწინებდნენ კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ს. ცაიშვილი, რომლებმაც შეისწავლეს ხელნაწერებთან დაკავშირებული კოდიკოლოგიური საკითხები. იგი მიჩნეულია ვახტანგისეული გამოცემის სახესხვაობიდან მომდინარედ. პირველი, ვინც ამ თემას შეეხო და საფუძვლიანად განიხილა, ალექსანდრე სარაჯიშვილი იყო (სარაჯიშვილი 1914-1915: 103). მან ეს შრომა მოხსენების სახით წაიკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1914 წლის 27 მარტს. ალ. სარაჯიშვილმა ერთმანეთს შეუდარა ე. წ. არტანუჯული ვარიანტის ხელნაწერები, კერძოდ პეტრე ლარაძის გადანერილი და გიორგი თუმანიშვილის მიერ ნარედაქციევი, ანა ალექსანდრეს ასულის, ამილახვრის ქვრივის საზო-

გადოებისათვის შენირული ხელნაწერი, რომელიც აღმოჩნდა პეტრე ლარაძის ხელნაწერის დედანი. ალ. სარაჯიშვილმა იგი ამილახვრისეული ხელნაწერის სახელით მოიხსენია და აღნიშნა, რომ იგი არის ვახტანგისეული გამოცემის პირი, „რაიცა სჩანს პოემის ტექსტიდან (იგივე, 1589 წ.) და ვახტანგის „თარგმანიდან“, რომელიც დაერთვის პოემას. ნიგნი გადაწერილია დავით რექტორის ხელით, მისი შევნიერის მრგვალის მხედრულით, რასაც ცხად ჰყოფს მისივე მინაწერი პოემის ბოლოს“ (სარაჯიშვილი 1914-1915: 3). მინაწერს მოსდევს თუმანიშვილის ხელით მინაწერი, რომ იგი გიორგი თუმანოვმა აჩუქა კნენა ბარბარე ქობულოვისას (ibid.). 1867 წლის 3 ივლისს ბარბარე ქობულოვისას გაუკეთებია მინაწერი, რომლის მიხედვით დგინდება, რომ გიორგი თუმანოვმა დავით რექტორს გადაწერილია ხელნაწერი, მაგრამ თავად შეუსწორებია და კნენა ბარბარეს ეს შესწორებული ვარიანტი ძლიერ მოსწონებია. სწორედ ეს ხელნაწერი შეუდარა პეტრე ლარაძის გადაწერილს ალ. სარაჯიშვილმა და დაასკვნა, რომ არტანუჯული ხელნაწერი, ფაქტობრივად, არის ამილახვრისეული ხელნაწერი, რომელიც ენით, სტილით, შინაარსით, მართლწერით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამახინჯებული ვერსიაა. მისი სიტყვით, იგი „სრულებით არა ჰგავს რუსთაველის წერის მანერას“ (ibid.: 29). რაც შეეხება ხელნაწერის არტანუჯულობას, ალ. სარაჯიშვილი ფიქრობს, რომ ეს აზრი შესაძლოა პეტრე ლარაძისა იყოს და საგანგებოდ მოფიქრებული, მკითხველი უფრო ენდობოდა არტანუჯულ ვარიანტს, რადგან შოთა რუსთველი სამცხის მკვიდრად მიაჩნდაო და „იქ ნაპოვნი უძველესი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან უახლოვდება თავის სათავეს, ეგების თვით რუსთაველის ნაწერიც იყოსო“ (ibid.: 30). მისივე შეხედულებით, ე. წ. ლეგენდა არტანუჯული ვარიანტის არსებობის შესახებ მოწმობს იმას, რომ ყოველ ეპოქაში, კერძოდ, XIX საუკუნეშიც იყო შესაძლებელი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შერყვნა და მასში ყალბი სტროფების ჩამატება. საინტერესოა, რომ ს. ყუბანეიშვილმა შემწყნარებლურად განიხილა ე. წ. არტანუჯული ვარიანტის არსებობა და განაცხადა, რომ პეტრე ლარაძე ამ ხელნაწერთან დაკავშირებულ ამგვარ ლეგენდას არ შექმნიდაო. მაგრამ ალექსანდრე ბარამიძის, უფრო კი სარგის ცაიშვილის კვლევებმა და დაკვირვებებმა წარმოაჩინეს ექვთიმე თაყაიშვილისა და ალ. სარაჯიშვილის დებულებათა სისწორე ე. წ. არტანუჯულ ვარიანტთან დაკავშირებით (ცაიშვილი 1984: 321-330).

7. ექვთიმე თაყაიშვილმა შეაფასა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ტექსტოლოგიური ღირებულება და აღნიშნა, რომ ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის ამ შესანიშნავმა მოღვაწემ შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის განმენდა იმ ჩანართ-დანართებისაგან, რომელთაც შერყვნეს შოთა რუსთველის პოემა. მიუხედავად ამისა, მისივე აზრით, არც ვახტანგ მეექვსისეული გამოცემა და არც პეტრე ლარაძისეული ხელნაწერი არაა თავისუფალი შენარევებისაგან, ე. ი. ინტერპოლაციებისა ან გაგრძელებებისაგან, პირიქით,

შენიშნება ჩანართ-დანართები, მაგრამ მცირე ოდენობით და, როგორც ჩანს, XVII საუკუნისაა (თაყაიშვილი 1968: 36-37);

8. XVII საუკუნის ხელნაწერებშიც ჩანართ-დანართები ერთნაირი ოდენობისა არაა და არც ერთი რედაქციის არაა. მისივე დაკვირვებით, 1646 წლის ხელნაწერი ისინი ნაკლებია, ვიდრე XVII ს. მეორე ნახევრის ხელნაწერებში.

9. ექვთიმე თაყაიშვილმა თავი მოუყარა „ვეფხისტყაოსნის“ აღწერილობის გამოცემაძველ ყველა არსებულ გამოცემას, რაც 1903 წლამდე მოდიოდა, ასეთი სულ 20 აღმოჩნდა, ერთგვარი კატალოგი შეადგინა და შეაფასა თითოეული მათგანი. მან ერთ-ერთმა პირველმა საგანგებოდ აღნიშნა 1888 წლის გიორგი ქართველიშვილისეული გამოცემის ღირსებები: ტექსტის გამოსაცემად მომზადებაზე იმუშავა სპეციალურად მონვეულმა კომისიამ, რომელიც იონა მეუნარგიას ინიციატივით იქნა შედგენილი, მის შემადგენლობაში იყვნენ XIX საუკუნის გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები; ტექსტის საბოლოო რედაქცია ეკუთვნოდა ივანე მაჩაბელს; კომისიამ გამოიყენა იმ დროისათვის მისაწვდომი ყველა ხელნაწერი, კერძოდ, ჰქონდათ 1646 წლის ხელნაწერი, რომელიც ყველაზე ძველი იყო მათ ხელთ არსებულ ხელნაწერთა შორის; აგრეთვე, წერეთლისეული ხელნაწერი; ტექსტი განმედილი იყო ჩანართ-დანართებისაგან, გამოცემაში 1576 სტროფი იყო დაბეჭდილი, დანარჩენი კომისიამ არარუსთველურად მიიჩნია და ამოიღო; იგი დასურათებული იყო მიხაი ზიჩის მიერ. ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნა გამოცემის ნაკლოვანებებიც, კერძოდ, მას არ ერთვის ხელნაწერთა და გამოცემათა ვარიანტული სხვაობები, გამოტოვებულია სტროფში მეოთხე ტაეპის წინ „და“ კავშირი (თაყაიშვილი 1968: 35-37). ექვთიმე თაყაიშვილს აქვე აქვს აღნიშნული, რომ განზრახული ჰქონია, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა საფუძველზე მომზადებული ახალი გამოცემა განეხორციელებინა ივანე პოლტორაცკის რუსულ თარგმანთან ერთად. დასაბრუნებია, მან ეს ვერ განახორციელა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგულისხმოა, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა ამავე ნაშრომში შეამჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. „არტანუჯული“ ვარიანტის თავისებურებები, კერძოდ, შედგენილობა, ორთოგრაფია და სხვა, რაც ხელნაწერის სიძველის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს აქარწყლებდა. ამ ვარაუდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის კვლევისას სწორი ორიენტირების დასახვისათვის, რაც არაერთგზის აღინიშნა კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში (ცაიშვილი 1984: 329).

ექვთიმე თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შესწავლისა და მისი ვახტანგისეულ რედაქციასთან შედარების საფუძველზე ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ვახტანგისეული გამოცემა არ იმეორებს რომელიმე ძველ ხელნაწერს, იგი ტექსტზე კრიტიკული მუშაობის შედეგად მიიჩნია. მისი მოსაზრებით, ვახტანგი შეეცადა რუსთველის პოემის განმედას იმ დანამატ-შენარევებისაგან, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში შევიდა მასში. ექვთიმე

თაყაიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიიჩნია ვახტანგ VI-ის კუთვნილებად „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაზე დართული წინასიტყვაობა, თარგმანება, რაზეც მანამდე დიმიტრი ბაქრაძის, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ეს წინასიტყვაობა ვახტანგსა და მის კომისიას კი არ შეუქმნია, არამედ – თეიმურაზ ბატონიშვილს.

ექვთიმე თაყაიშვილმა დაიმონმა პოემის ძირითადი გამოცემები, გაარკვია მათი ურთიერთიმართებები, საგანგებოდ განიხილა რუსთველის პოემის პირველი ბექდური გამოცემა და ერთ-ერთმა პირველმა შეაფასა ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური ღვაწლი. მდიდარი მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე კი დაასაბუთა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა კრიტიკულია და რომ ვახტანგ მეექვსემ, ამ შესანიშნავმა მოღვაწემ, შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ განმენდა XVII საუკუნისა და მასზე ადრე შექმნილი ჩანართ-დანართებისაგან, რისი შედეგიც იყო პოემის ტექსტში 1589 სტროფის დატოვება. მისივე დასკვნით, ვახტანგისეულ გამოცემაშიცაა ჩარჩენილი ზოგიერთი ინტერპოლატორული სტროფი, თუმცა, ისინი მრავალრიცხოვანი არ არის და იმდენად ორგანულადაა შერწყმული დედნისეულ ტექსტს, რომ ნათლად ჩანს მათი სიძველე, ე. ი. XVII საუკუნეზე ადრე შეთხზული ინტერპოლატორული სტროფებიც უნდა იყოს მასში ჩართული.

ექვთიმე თაყაიშვილის კვლევის შედეგების მართებულობა დაადასტურა შემდგომში ჩატარებულმა მეცნიერულმა მუშაობამ. ჯერ აკაკი შანიძის, შემდეგ სარგის ცაიშვილის მიერ ვახტანგისეულ რედაქციაზე ჩატარებული შემდგომი კვლევა-ძიების საფუძველზე ახალი მასალები გამოვლინდა და საკითხი დეტალურად იქნა შესწავლილი, ექვთიმე თაყაიშვილის ადრე გამოთქმული ვარაუდი ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გამართლდა. აკაკი შანიძემ დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემისა და ვახტანგის კომენტარების ურთიერთშედარების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ვახტანგის კომენტარებში ისეთი სტროფებია განმარტებული, რომლებიც გამოცემაში არაა დაბეჭდილი. აქედან გამომდინარე, დაასკვნა, რომ ვახტანგი განმარტავდა „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ რედაქციას, მას ხელთ ჰქონდა პოემის ვრცელი ტექსტის შემცველი ხელნაწერი. ჩანს, რომ გამოცემის პროცესში ტექსტი შეუმოკლებიათ, ხოლო ამოღებული სტროფის კვალი დარჩენილია ვახტანგის კომენტარებში. მეცნიერის აზრით, ტექსტს ასწორებდნენ ბექდვის პროცესშივე და ზოგჯერ ერთი ვარიანტის ნაცვლად ხელნაწერიდან სხვა ვარიანტები შეჰქონდათ, რაც იმას მოწმობს, რომ გამოცემლებს, ტექსტის დამდგენებს ხელთ რამდენიმე ხელნაწერი უნდა ჰქონოდათ (შანიძე 1975: 343-348). სარგის ცაიშვილმა საგანგებოდ იკვლია „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია, შეადარა იგი მანამდე არსებულ ხელნაწერებს და დაასკვნა, რომ არსებობს პოემის რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც თავიანთი „რედაქციული აღნაგობით ახლოს დგანან ვახტანგისეულ გამოცემასთან, მათი შესწავლა იმ

თვალსაზრისით იყო საინტერესო, რომ იქნებ ვახტანგზე ადრეც შემუშავდა ამგვარი შემოკლებული ტექსტი პოემისა, მაგრამ დღეს გარკვეულია, რომ ეს ხელნაწერები ჩამოყალიბდნენ 1712 წლის გამოცემის შემდგომ თვით ვახტანგისეული გამოცემის გავლენით. შედარებით ეჭვქვეშ იდგა რუსთველოლოგიაში კარგად ცნობილი მხატვრული ხელნაწერი S-5006. ამ ხელნაწერს ზოგი მკვლევარი XVII საუკუნისად თვლიდა (ვახტანგის გამოცემაზე უძველესად), თანაც აქ შესამჩნევია ისეთივე რედაქციის კვალი, როგორც ეს 1712 წლის გამოცემაშია“ (ცაიშვილი 1984: 105). მან დაიმონმა პავლე ინგოროყვას მოსაზრება, რომლის მიხედვით ვახტანგისეული რედაქციის მსგავსი მოკლე რედაქცია პოემისა გამოცემამდე უნდა არსებულებოდა. ს. ცაიშვილის კვლევის საფუძველზე ამჟამად უკვე გარკვეულია, რომ S-5006 ხელნაწერის გადამწერი რამდენიმე დედნით სარგებლობდა, მათ შორის თვით ვახტანგისეული გამოცემითაც (ibid.). მისივე მოსაზრებით, ხელნაწერის გადამწერი ეყრდნობა ვახტანგისეულ გამოცემასა და XVII საუკუნის რომელიღაც ხელნაწერს, იგი გადამწერილია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში და არა XVII საუკუნეში. აქედან გამომდინარეობს მეორე ლოგიკური დასკვნაც. ის ერთადერთი მოსაზრება, რომელიც საეჭვოს ხდიდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულობას, უარყოფილ უნდა იქნეს (ცაიშვილი 1984: 106).

ექვთიმე თაყაიშვილმა ივარაუდა ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელი და ინტერპოლატორი არა მხოლოდ ნაწილია ციციშვილი, არამედ სხვებიც იყვნენ. მანვე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ერთ-ერთი გამგრძელებლის სახელი და ზედწოდება თუ გვარი მოიხსენიება, როგორც სარგის თმოგველისა: „ეს ამბავი დარწმუნდა სარგისს ლექსთა შეუნყოფლად...“

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გარკვეულია, რომ „დილარგეთიანის“ ავტორი სარგის თმოგველი ვერ იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელი. ეს სხვა სარგის თმოგველია; „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები სწორედ მის სახელს უკავშირდება. ჟამთააღმწერლის დახასიათებით, იგი განსწავლული და ღრმად მოაზროვნე პიროვნება ყოფილა. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ გაგრძელებაში, ე. წ. ხვარაზმელთა ამბის დასაწყისში მოიპოვება სტროფი, რომლის მიხედვით, რუსთველის პოემის გაგრძელება სარგის თმოგველს უნდა დაენერა:

„სარგისს დაურჩა უთქმელი, მას ესე დავაბარენით,
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით“;

აგრეთვე, ხვარაზმელთა ამბავში შემონახული ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობაც ამასვე მონიშნავს:

„ეს ამბავი დარწმუნდა სარგისს ლექსთა შეუნყოფლად,
აგრე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მან მიბრძანა, ლექსად თქვიო, მჭევრ ქართულად, დაუშრომლად“
(ბარამიძე 1966: 284).

ამ სტროფების შინაარსი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად იყო ინტერპრეტირებული. თუმცა, მეცნიერთა უმეტესობა, კერძოდ, ვ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზემოთ დამონებული სტროფი ეხება „ხვარაზმელთა ამბავს“ და არა მთელ „ვეფხისტყაოსანს“. ამიტომ დაისმის კითხვები: 1. რომელი სარგის თმოგველი იგულისხმება; 2. როდის დაწერა მან ეს თავი და 3. რა კავშირი აქვს მის სახელს „ინდო-ხატაელთა ამბავთან“.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ეს სტროფები XVI საუკუნეში უნდა დაწერილიყო, მაშინ, როდესაც დაიწერა ხვარაზმელთა ამბავი, ხოლო უცნობ პოეტს ხელთ უნდა ჰქონოდა ხვარაზმელთა ამბის პროზაული ვერსია, რომელიც, როგორც ჩანს, გაულექსავი დარჩენია სარგის თმოგველს. ეს უცნობი ავტორი ამ სტროფებში სწორედ ამას აღნიშნავს. რაც შეეხება ამ ამბის გალექსვის დათარიღებას, აღ. ბარამიძის აზრით, იგი „როსტომიანის“ ქართული ვერსიების ძირითადი ნაწილის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა გალექსილიყო; მისი გაელენა შეინიშნება გალექსილ „ხვარაზმელთა ამბავში“. აქედან გამომდინარე, „ხვარაზმელთა ამბის“ ლექსითი რედაქცია XVI საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე ვერ შეიქმნებოდა (ბარამიძე 1966: 284). ბოლო ხანებში ეს საკითხი კვლევის საგნად აქცია ზეთისო ზარიძემ, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური და კომპოზიციური ფენომენის შესწავლისას მივიდა დასკვნამდე, რომლის მიხედვით, „სარგის თმოგველი არის ის პიროვნება, რომელმაც არსებითად შეცვალა „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოება. სამწუხაროდ, მან, როგორც ჩანს, ვერ გაიგო ავტორის ჩანაფიქრი, კერძოდ, რის მხატვრული ფორმა იყო პოემის კომპოზიცია და უბრალო ამბის გამოდევნებამ დაამახინჯებინა მისი სტრუქტურა. ეს იყო უკვე დაკნინების გზაზე დამდგარი საქართველოს ნამოქმედარი: მას აღარ ესმოდა თავისი წარსულისა, რაც კარგად ჩანს თავად არჩილისეულ შენიშვნაშიც კი: „ერთი ამბავი აინყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“... (ზარიძე 2002: 151). ყოველივე ზემოთქმული მონიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ერთ-ერთი გამგრძელებელი სარგის თმოგველი ყოფილა და იგი XIV საუკუნეში მოღვაწეობდა. ჩანს, რომ სარგის თმოგველი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ინტერპოლატორი უნდა ყოფილიყო.

ექვთიმე თაყაიშვილს აღწერილი და განხილული აქვს თეიმურაზ ბატონიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარები (S-3715). მან თავის აღწერილობაში დაიმონმა ვრცელი ამონარიდები თეიმურაზ ბატონიშვილის სამეცნიერო ნაშრომიდან „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, რაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მეცნიერთა წრეებისათვის, რადგან 1960 წლამდე თეიმურაზის ეს გამოკვლევა მკვლევართათვის ხელმისაწვდომი არ იყო, ვიდრე გაიოზ იმედაშვილმა გამოკვლევითა და სათანადო სამეცნიერო აპარატის დართვით არ გამოსცა იგი.

ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა მწვავე პოლემიკური სტატია ბატონ გ. გვაზავას შეხედულებებისგან ნიკო მარრის მეცნიერული და პიროვნული ღირსების დასაცავად, რაც მარრის მიერ ქართველოლოგიური პრობლემატიკის განხილვას მოჰყვა. გ. გვაზავამ საცილობლად გახადა ლინგვისტიკისა და ისტორიის მარრისეული მეთოდი. რაც მთავარია, მან გააკრიტიკა ნიკო მარრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რაც პოემის სიუჟეტის სპარსულიდან წარმომავლობას ეხებოდა. დავიმონებთ ექვთიმე თაყაიშვილის არგუმენტებს ნიკო მარრის სასარგებლოდ: „ბ-ნ გვაზავას წარმოუდგენია, რომ რუსთაველისათვის დამამცირებელი ფაქტად უნდა ჩაითვალოს პროფ. მარრის მიერ გამოთქმული აზრი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი სპარსულიდან არის ნათარგმნიო. რა ნახა აქ სამარცხვინო რუსთაველისათვის და სამწუხარო ჩვენთვის ბ-ნმა გვაზავამ, თუ გინდ ეს აზრი მართალიც იყოს და როდისმე დამტკიცდეს კიდევც? ნუთუ ბ-ნ გვაზავას ჰგონია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენთვის უმთავრესად ფაბულით არის საინტერესო? ჩვენ კი გვგონია, რომ რუსთაველის გენიალურ პოემაში ჩვენთვის ძვირფასია არა ფაბულა, არამედ ის აზრები, რომელიც მასშია გამოთქმული XII საუკუნეში, აზრები, რომელნიც დღესაც, XX საუკუნეში, სავსებით არ არის განხორციელებული და მთელი მონინავე კაცობრიობის იდეალებს წარმოადგენს; რომ რუსთაველის პოემაში ჩვენთვის ძვირფასია ის შესანიშნავი ფორმა, რომელშიდაც ჩამოყალიბებულია შედარებით უბრალო სიუჟეტი, ის მხატვრული ნიჭი, რომელიც გამოიჩინა უკვდავმა შოთამ. განა ფაბულით განიზომება მხატვრულ ნაწარმოების მნიშვნელობა? მაშ გიოტეს „ფაუსტი“ არაფრად ღირებულა, რადგან მისი სიუჟეტი ნასესხებია; მაშ არაფრად ღირებულა დიდებული შექსპირი, რომელსაც თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში ფაბულა აქვს ნასესხები? არაფრად ღირებულა...“ (თაყაიშვილი 1968: 422); იქვე კიტა აბაშიძის სიტყვებით აჯამებს გვაზავას ნააზრევისადმი თავის დამოკიდებულებას: „ხელოვნებაში სრულიად უვიცი უნდა იყო და ლიტერატურაში არაფერი გაგება არ უნდა ჰქონდეს კაცს, რომ სიუჟეტის სესხებით დააფასოს მხატვრული ნაწარმოები“ (თაყაიშვილი 1968: 422). საგულისხმოა, რომ თავისი დამოკიდებულება იმ კითხვებითაც გამოხატა, რომელთა მიხედვით მისი შეხედულებაც იკვეთება: რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ქართველთა თავმოყვარეობისათვის ამგვარი აზრი და ძველ ტრადიციულ შეხედულებებს არღვევდეს, თუ მეცნიერულად დასაბუთებული სიახლეა, საკითხს ახლებურად უნდა შევხედოთ და ჰეროსტრატეს კომპლექსებისგან გავთავისუფლდეთო (თაყაიშვილი 1968: 423).

ცნობილია, რომ ნიკო მარრის ზემოხსენებულ შეხედულებას რუსთაველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი, უმეტესად უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისის სტროფში „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ მთლიანად კონტექსტიდან ამოგლეჯილად, არასწორად იყო გააზრებული ნიკო მარრის მიერ. „ვეფხისტ-

ტყაოსნის“ დასაწყისის ცნობილ სტროფში „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგომანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“... ადრევე იქცევედა ყურადღებას და მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი შეხედულებებიც გამოითქვა (ალ. ბარამიძე, მ. კარბელაშვილი, ზ. გამსახურდია, ქ. ბეზარაშვილი და სხვა). ჩემი აზრით, „სპარსული – ქართული“, როგორც პოლისემანტიკური ცნებები, მრავალმხრივი მეტაფორული აზროვნების გამოხატულებაა, რადგან ლიტერატურულ-სახეობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს, დროსიერცულ პოეტიკას მოიცავს, ფორმის თვალსაზრისითაც იგი განსხვავებულ არსობრივ ღირებულებას გულისხმობს, ამავე დროს, მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური-იდეოლოგიური, ფილოსოფიური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ზნეობრივ-ეთიკური დატვირთვა აქვს. სტროფის პირველ ტაეპში ნახსენები „სპარსული ამბავი“ – „ქართულად ნათარგმანები“ ის ოპოზიციური წყვილია, რომელშიც რამდენიმე რიგის დაპირისპირება უნდა მოვიაზროთ:

1. მთლიანად სტროფი გულისხმობს პოემის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების ერთიანობას, რომელშიც შეზავებულია აღმოსავლური ტროპული სისტემა და ქრისტიანული სახისმეტყველება; ქართული საერო, სეკულარული მწერლობა ეროვნულ და ქრისტიანულ ჰიპოდოგმურ-პარადიგმულ სახისმეტყველებას ემყარება, რასაც ემატება აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურისათვის დამახასიათებელი თვალისმომჭრელი მეტაფორა და აღმოსავლურ-ქრისტიანული სიმბოლიკა, წინაქრისტიანული მითოპოეტური გამომსახველობითი საშუალებები.

2. იგი გულისხმობს მაჰმადიანურისა და ქრისტიანულის დაპირისპირებას რელიგიურ-იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით; „სპარსული“ არის გარეშე, უცხო, წარმართული, მაჰმადიანური, „ქართული“ – საღვთო, ქრისტიანული.

3. „სპარსული“ პოლიტიკური მნიშვნელობის ტერმინიცაა „ვეფხისტყაოსანში“; ამ თვალსაზრისით სახელმწიფოებრივი მოწყობის აღმოსავლურ სისტემას უპირისპირდება სრულიად ახალი – ქართული სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემა.

4. „სპარსული – ქართული“ სიუჟეტთან, ფაბულასთან, თემატურობასთან ერთად, ფორმასაც გულისხმობს.

5. სტროფი ყურადღებას იქცევს ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპების გამოცემის თვალსაზრისით: „ქართულად ნათარგმანები“ გულისხმობს, რომ პოემაში ასახული სიყვარული და ქორწინება სპარსულისაგან განსხვავებულია, ქართულია. „სპარსული – ქართული“ ქალის ადგილის თვალსაზრისითაც ერთმანეთს უპირისპირდებიან.

6. იგი არის სოციალური და კულტუროლოგიური ღირებულებისა, რადგან საქართველოში არაძალადობრივი, ანუ თავისთავადი კულტურა, ე. ი. ქართუ-

ლი კულტურა, და ძალადობრივი კულტურა, ე. ი. საქართველოსთვის უცხო, სპარსული კულტურა, უპირისპირდებიან ერთმანეთს. ქართული სამყაროსათვის „სპარსული“ კულტურული ძალადობა გამოიხატება.

7. ეს ანტინომია ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ფენომენსაც მოიცავს.

ამგვარი გააზრების საფუძველი საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობაშია საძიებელი. შოთა რუსთველის პოემა შეიქმნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარზე მდებარე ქვეყანაში, სადაც განსხვავებული ტრადიციები და კულტურები ხვდებოდნენ ერთმანეთს და თანაარსებობდნენ ურთიერთდაპირისპირების გარეშე, – ეს იყო ამ ორი დიდი ცივილიზაციის გზაშესაყარი, – რის გამოხატულებაცაა ის, რომ მისი პერსონაჟები, ილია ჭავჭავაძის სიტყვისამებრ, „ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით არიან შექმნილნი და აგებულნი“. „ვეფხისტყაოსანი“ დღესაც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს, ავლენს ქართველი ერის ისტორიულ ხასიათს, ორიენტაციას. რუსთველი „სპარსულს“ იყენებს, მაგრამ მასზე არ ჩერდება; „სპარსული“ არაა სრულყოფილების არსის მქონე, რასაც ადასტურებს პოემის შინაარსის გადმოცემისას სპარსულისადმი რუსთველის უარყოფითი განწყობა. დავიმონებ კ. კეკელიძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ქართული ეროვნული თვითშეგნება ისე მკვეთრად არასოდეს გამიჯვნია სპარსულს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. ქ. ბეზარაშვილმა „სპარსული“ ისეთივე ტერმინად მიიჩნია, როგორცაა „ჰელინიური“ და „ჰინდური“ (ძველ ტექსტებში ჩანს „ჰინდო“), რომელიც, ჩემი აზრით, ძველ ქართულში გამოიხატება სხვა ტერმინთაც – „სანარმართო“; ისინი „გარეშე სიბრძნეს“ აღნიშნავენ და მათ უპირისპირდება „ქართული“; „ამბავი“ თხრობაა, ფაბულაა, რასაც ეფუძნება პოემის სიუჟეტური განვითარება (ბერძნული „αι 'ιστοριαι“); „ვეფხისტყაოსანში“ „სპარსული“ ფაბულურია, ამბავს უკავშირდება, ხოლო „ქართული“ მხატვრულ-ესთეტიკურ არსსა და რაობას გულისხმობს“ (სულავა 2012).

უაღრესად მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის დამოკიდებულება სამეცნიერო ეთიკური სტილისა და კილოსადმი, რადგან, სრულიად სამართლიანად, მეცნიერული კამათის დროს იგი მოითხოვდა ზომიერების დაცვას და სხვისი ნააზრევისადმი პატივისცემას, პოლემიკისას მიუღებლად მიაჩნდა არამეცნიერული, უდიერი კილოს გამოყენება და ყველას ურჩევდა ეთიკური ნორმების დაცვას.

ექვთიმე თაყაიშვილმა პავლე ინგოროყვასთან ერთად გაზეთ „საქართველოში“ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ერთი ყალბი დოკუმენტის გამო შოთა რუსთველის შესახებ“, რომელშიც შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ მოსე ჯანაშვილის მიერ ყალბი ცნობა იყო გამოქვეყნებული (ჯანაშვილი 1917). როგორც მ. ჯანაშვილი მიუთითებს, მის მიერ გამოქვეყნებულ საბუთში აღნიშნულია შოთა რუსთველის ვინაობა და გარდაცვალების თარიღი. ეს საბუთია გერგეტის წმიდა სამების „სულთა მათიანე“, რომლის ძირითადი

ტექსტი XII-XIII სს. უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ იგი გვიანდელი ჩანაწერებითაა შევსებული. როგორც მკვლევარებმა აღნიშნეს, ასომთავრულით შესრულებული ცნობა შოთა რუსთველის შესახებ ხელნაწერის ბოლო ფურცელზეა მოთავსებული. მათ გამოქვეყნებული აქვთ ეს ტექსტი მთლიანად და უცვლელად, რომელსაც აქვე ვიმოწმებთ: „ქ თამარ მეფე გარდაიცვალა ქვ-ნსა კლთ იანვარსა იჴ პარასკევსა (ე. ი. 1213 წლის 18 იანვარს). ქ მესხი ჭიაბრის ძე მგოსანი შოთა რუსთაველი წარვიდა ერ-სალემ (Sic!) და მუნ გარდაიცვალა ქორონიკონსა კლთ მაისსა ა დღესა ხუთშაბათსა შ-ნ ღ-ნ (თარიღი უდრის 1219 წლის 1 მაისს). ოდეს ესე დაიწერა ქ-ნი იყო ვმა (ე. ი. 1221 წელი) შ-ნ ღ-ნ მ-ქლს“ (თაყაიშვილი 1968: 55). ექვთიმე თაყაიშვილმა და პ. ინგოროყვამ დეტალურად განიხილეს ამ საბუთის ცნობა და აღნიშნეს, რომ იგი ყალბია. უწინარეს ყოვლისა, მათ ყურადღება გაამახვილეს წერის ტექნიკაზე და შენიშნეს, რომ იგი ახალი შესრულებულია და არა XIII საუკუნეში, როდინდელ ამბავსაც უნდა გვამცნობდეს იგი. სიყალბეს თვით ტექსტიც მოწმობს, რადგან დამწერს ახალი ტერმინი „მგოსანი“ გამოუყენებია ისე, რომ არ გაუთვალისწინებია XII-XIII საუკუნეების ლექსიკა და მათი სემანტიკური მნიშვნელობა. მისი გამოყენება ამკარა ანაქრონიზმია, რადგან ძველად, კერძოდ XIII ს. დამდეგს „მგოსანი“ პოეტის მნიშვნელობით არ გამოიყენებოდა, მას მოიხსენიებდნენ როგორც „მოშაირეს“, ან „მოლექსეს“. საამისოდ მათ დამონმებული აქვთ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (თაყაიშვილი 1968: 55). „მგოსანი“ კი მომღერალს, ზოგჯერ მომღერალ მემუხიკეს ნიშნავდა, რის დასამტკიცებლადაც თვით „ვეფხისტყაოსნისა“ და „აბდულმესიანის“ (თამარისა და დავითის ქება) ტექსტები აქვთ დამონმებული (თაყაიშვილი 1968: 56). ისინი იმ ფაქტსაც აქცევენ ყურადღებას, რომ ეს ხელნაწერი ხელთ ჰქონიათ ვახტანგ მეექვსეს, „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამომცემელსა და კომენტატორს, და ანტონ პირველს, რომელმაც „ნყობილსიტყვაობაში“ რუსთველს იამბიკური სტროფი მიუძღვნა. არც ერთი მათგანი ამ ცნობას არ ახსენებს, რაც, მკვლევართა აზრით, იმას მოწმობს, რომ იგი გვიანდელი, მათი მოღვაწეობის შემდგომი ჩანართია. ეს ხელნაწერი ხელთ ჰქონია თედო ყორდანიას და 1897 წელს თავისი შედგენილი „ქრონიკების“ მეორე ტომში გამოაქვეყნა კიდევ. გამოქვეყნებულ ტექსტში ეს ცნობა არაა, რაც მოწმობს მის გვიანდელობას. შეუძლებელი იქნებოდა, თედო ყორდანიას იგი ვერ შეენიშნა და არ შეეტანა თავის გამოცემაში (თაყაიშვილი 1968: 57). აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თანაავტორი პავლე ინგოროყვა ყურადღებით ეკიდებოდნენ დოკუმენტურ წყაროებს და ღრმა პროფესიულობით აფასებდნენ ყოველ ცნობას. მათ ეჭვიმუტანლად დაასაბუთეს შოთა რუსთველის შესახებ გერგეტის წმიდა სამების „სულთა მატრიანეში“ გვიან ჩართული ცნობის სიყალბე.

ექვთიმე თაყაიშვილის ზემოთ დამონმებულ არგუმენტებს ისიც უნდა დავამატოთ, რომ ამ ცნობაში პოეტის ზედწოდება წარმოდგენილია ფორ-

მით „რუსთაველი“, რაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე, ანტონ პირველის მოღვაწეობაზე ადრე არაა მოსალოდნელი, რადგან ამ დრომდე იგი გვხვდება მხოლოდ შეკუმშული ფორმით: „რუსთველი“. პირველმა „რუსთაველი“ ანტონ კათოლიკოსმა გამოიყენა.

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ღვაწლი გასწია რუსთველოლოგიაში, მის სახელს ბევრი კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება და მის შრომებს, შეხედულებებს რუსთველოლოგიური პრობლემატიკის შესახებ გვერდს ვერავინ აუვლის.

ექვთიმე თაყაიშვილს ძალზე საგულისხმო შეხედულებები აქვს გამოთქმული XII-XV საუკუნეების საქართველოს ლიტერატურულ შემოქმედებით პროცესებზე. ეს მოსაზრებები მას საისტორიო წყაროებისა და ხელნაწერი მემკვდრეობის საფუძვლიანი შესწავლა-გააზრების შედეგად აქვს მიღებული. მან განიხილა „როსტომიანისა“ და მისი ციკლის თხზულებები. აღწერილობების ორსავე ტომში სრულადაა მოყვანილი ის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები, რაც კი მოიპოვება „როსტომიანის“ შესახებ ამ ძეგლის შემცველ ხელნაწერებში, აგრეთვე, სხვა თხზულებებში, კერძოდ, „შაჰნავაზიანი“, „ომიანიანი“, „არჩილიანი“. მანვე აღნიშნა, რომ ნიკო მარრის სტატიის შემდეგ „როსტომიანის“ ქართული ვერსიების თაობაზე ახალი თითქმის არაფერი ითქმის. მიუხედავად ამისა, მან მოიპოვა და გამოაქვეყნა „როსტომიანის“ თაობაზე სრულიად ახალი ცნობები. პირველმა გაგვაცნო „ზააქიანისა“ და „საამიანის“ ტექსტები. მანვე სცადა გაერკვია ამ ძეგლების გამლექსავთა, მამუკა მდივნისა და ბარძიმ ვაჩნაძის, ვინაობა.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება პოემა „ომიანიანი“. გადმოსცა მისი დანერვილებითი შინაარსი (თუმცა, თავად აღნიშნა, რომ მოკლედ გადმოსცა შინაარსი) და გამოთქვა თავისი მოსაზრებები ავტორის ვინაობის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი XVII-XVIII საუკუნეების პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნათარგმნი ძეგლის, „იოსებზილიხანიანის“, თაობაზე. მან აღწერა თხზულების შემცველი უნიკალური ხელნაწერი S-1283 (აღწერილობა II, 267-274). დაასაბუთა, რომ ხელნაწერი XVI საუკუნისაა და რომ პოემის თარგმანის ტექსტი სრულიად განსხვავდება თეიმურაზ I-ის ავტორობით ცნობილი ამავე სახელწოდების თხზულებისაგან. ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილმა მოიპოვა „იოსებზილიხანიანის“ სპარსულიდან თარგმნილი, ახალი რედაქციის ტექსტი და დაასაბუთა მისი ადრინდელობა თეიმურაზის პოემასთან შედარებით.

ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა „რუსუდანიანის“ ხელნაწერები და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ აღნიშნა, რომ ეს თხზულება მოითხოვს დეტალურ შესწავლასა და განხილვას. ფაქტობრივად, მან ერთ-ერთმა პირველმა სწორად გაიაზრა „რუსუდანიანის“

იდეური ტენდენციები და ახალი მოსაზრება გამოთქვა მის დათარიღებასთან დაკავშირებით. მან იგი მიაკუთვნა XVI საუკუნეს. „რუსუდანინის“ გარშემო გამოთქმული მისი ვარაუდები შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა (აბულაძე... 1957).

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების კვლევა-ძიების საქმეში. საყოველთაოდ ცნობილია ამ თხზულების საკმაოდ რთული ლიტერატურული ისტორია, რომლის დადგენაშიც ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა. აღწერილობის I ტომში ამ საკითხს საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა (I, 285-347). ნიკო მარრის სიტყვით, ეს არის მჭიდროდ შეკრული, შეკუმშული, მაგრამ ღრმად შინაარსიანი მონოგრაფია „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანების შესახებ (მარი 182). ექვთიმე თაყაიშვილმა მოიპოვა და აღწერა ქართული თარგმანის ერთი უცნობი ვერსია S-3177. მან პირველმა საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ ამ თხზულების პირველი ნაწილი კახთა მეფე დავითს უთარგმნია. ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ თარგმნა ვახტანგ VI-ის დავალებით ორ უცნობ პირს დაუსრულებია, ვახტანგს კი ტექსტი ნაწილობრივ შეუსწორებია, შეუვსია და გაუღუქსავს. შემდგომმა კვლევა-ძიებამ ექვთიმე თაყაიშვილის ეს დებულება არ დაადასტურა და აღ. ბარამიძის მიერ საბოლოოდ გაირკვა, რომ ვახტანგს შეუსრულებია ბნკარედული თარგმანები, რომლის გაღუქსვა შემდეგ დაუვალებია სულხან-საბა ორბელიანისა და ონანა ქობულაშვილისათვის. არ გამართლდა ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს სულხან-საბა ორბელიანს დამოუკიდებლად შეესრულებინოს ეს თარგმანი (ბარამიძე 1945: 237-372).

ექვთიმე თაყაიშვილმა 1899 წელს გამოსცა „მელის წიგნი“, რომელსაც დაურთო ბოლოსიტყვაობა და აღწერა ამ ტექსტის შემცველი ხელნაწერი. ბოლოსიტყვაობაში იგი შეებო თხზულებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ და კოდიკოლოგიურ საკითხებს. ნიკო მარრს „მელის წიგნის“ არაბული და სომხური ვერსიები შესწავლილი ჰქონდა და ამ დროისათვის გამოაქვეყნა კიდევ ნაშრომი მის შესახებ. მისი დასკვნით, ადრე გავრცელებული შეხედულებისაგან განსხვავებით, არაბული ტექსტი სომხურიდან ითარგმნა. ექვთიმე თაყაიშვილმა კი სამივე რედაქციის, ქართული, არაბული და სომხური ტექსტები შეუდარა ერთმანეთს და ივარაუდა, რომ ქართული მხოლოდ არაბულიდან არაა თარგმნილი, იგი უფრო ახლოსაა სომხურთან, რისთვისაც მას მოაქვს სათანადო არგუმენტები (თაყაიშვილი 1968: 168-171). იგი მოგვითხრობს „მელის წიგნის“ სხვა ენებზე არსებულ გამოცემათა შესახებაც.

ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა „ბარამიანის“ ქართული ვერსიები და დაადგინა, რომ ქართულ ენაზე „ბარამიანის“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამი ვერსია არსებობდა – გაღუქსილი „ბარამგურიანი“, პროზაული „ბარამიანი“ ანუ „ბარამგულანდამიანი“ და გაღუქსილი „ბარამგულიჯანიანი“. მან მოაგროვა მასალა „ბარამგურიანის“ ქართულად მთარგმნელის ნოდარ

ციციშვილის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილმა ერთმანეთს შეუდარა „ბარამგულანდამიანი“ და „ბარამგულიჯანიანი“. მისი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ პროზაული „ბარამიანი“, იგივე „ბარამგულანდამიანი“ და გალექსილი „ბარამგულიჯანიანი“ სხვადასხვა ნაწარმოებებია. „ბარამგულიჯანიანის“ გამლექსავს, ონანა მდივანს, ქობულაშვილს, ხელთ ჰქონია არა „გულანდამიანი“, არამედ სხვა უცნობი წყარო. ექვთიმე თაყაიშვილი ონანა მდივანს დიდ პოეტად არ აღიარებდა. მას რუსთველისა და თეიმურაზ I-ის მიმბაძველად მიიჩნევდა.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა „არჩილიანის“ ხელნაწერები, ვახტანგ VI-ის თხზულებები და სხვა. დასაბუთდა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი სპეციალურად არ შეჩერებულა დავით გურამიშვილსა და მის ნაწერებზე.

ექვთიმე თაყაიშვილმა თავის აღწერილობებში გადმოგვცა მდიდარი ცნობები ჩვენში ნაკლებად ცნობილი მწერლების, მწიგნობრების, მწერლობის გულშემატიკვართა შესახებ. აგრეთვე, ნაკლებად ცნობილი ან უცნობი თხზულებების, ფრაგმენტების, მინაწერების შესახებ, რის გამოც მისი აღწერილობის ორტომეული ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის სამაგიდო წიგნებია.

ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა თავისი გამოვლენილი და აღწერილი საუკეთესო ნუსხების მიხედვით ქართული მწერლობის ისეთი ძეგლები, როგორცაა „სიბრძნე ბალაჰვარისა“, „კათალიკოზ-ბაქარიანი“ (ორივე 1895), „მელის წიგნი“ (1899), „თიმსარიანი“ (1903). მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცემები მეცნიერულ-კრიტიკული არ არის, მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ იმის გამო, რომ საუკეთესო ხელნაწერების გათვალისწინებითაა გამოცემული. ექვთიმე თაყაიშვილმა საგანგებო წვლილი შეიტანა „ბალავარიანის“ პრობლემატიკის კვლევის საქმეში ტექსტის გამოცემით და მისთვის დართული მცირე შენიშვნებით. „კათალიკოზ-ბაქარიანმა“ ექვთიმე თაყაიშვილის ყურადღება მიიპყრო იმით, რომ ის საისტორიო თხზულებაა და XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას ასახავს. მის მიერ გამოცემულ ყველა ამ თხზულებას მცირე მიმოხილვა უძღვის წინ. საგულისხმოა, რომ „თიმსარიანის“¹ წყაროდ ექვთიმე თაყაიშვილმა სპარსული „სინდბადის“ წიგნი მიიჩნია. მთარგმნელთან დაკავშირებით კი გადაჭრით ვერ ამბობდა, რომელ თეიმურაზს ეკუთვნოდა იგი – თეიმურაზ პირველს თუ თეიმურაზ მეორეს. თუმცა, იხრებოდა თეიმურაზ მეორისკენ.

1909 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა „ძველ საქართველოში“ გამოაქვეყნა „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც, როგორც შემდეგში გამოირკვა, იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ II ტომის ნაწილია.

¹ საყურადღებოა „თიმსარიანის“ რუსული დაწერილობა. რუსულში „თ“-ს უქონლობის გამო და სახელწოდების სიზუსტის დასაცავად ექვთიმე თაყაიშვილმა გამოიყენა Th ასოთშეხამება.

XIX საუკუნის I ნახევრის ერთ-ერთი საინტერესო გადამწერ-რედაქტორი და მწერალი პეტრე ლარაძე ექვთიმე თაყაიშვილის ყურადღების ქვეშ რამდენჯერმე მოექცა და საკმაო ადგილი დაუთმო მის შესახებ მსჯელობას სტატიაში: „ავტორი „საქართველოს ძველი დროის თავგადასავლისა“, რომელიც პირველად 1899 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ (თაყაიშვილი 1968: 164-168). მან პეტრე ლარაძესთან დაკავშირებით საინტერესო საკითხები განიხილა; აღნიშნა, რომ პეტრე ლარაძეს დაუწერია ორიგინალური თხზულებები „მრავალფერყვავილოვანი“, „სახე მგოსანი“, „დილარიანი“, 20 000 ტაეპის ოდენობით, რაც საკმაოდ დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა, თუნდაც მხატვრული ღირსებებით გამორჩეული არ ყოფილიყო; მასვე შეუქმნია, აგრეთვე, მრავალი სხვადასხვა ხასიათის ლექსი. ექვთიმე თაყაიშვილმა „სახე მგოსანის“ შესახებ განაცხადა, რომ მისი ხელნაწერი მას არ შეხვედრია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექვთიმე თაყაიშვილს პეტრე ლარაძის მემკვიდრეობის მხატვრულ ღირებულებებზე არ უსაუბრია. მასვე გადაუწერია ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშები, მათ შორის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. ლარაძის მიერ გადაწერილ ამ ხელნაწერზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ექვთიმე თაყაიშვილმა ყურადღება გაამახვილა „დილარიანის“ ფორმაზე, რომელიც დაწერილია ლექსადაც და პროზადაც, როგორც „ქილილა და დამანა“. მანვე შენიშნა, რომ იგი იყენებს შემდეგ სალექსო ფორმებს: შაირს, ჩახრუხაულს, ყარიბულს; ამ უკანასკნელის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი ლარაძისავე ცნობის მიხედვით ამბობს, რომ ეს ფორმაც და სახელწოდებაც პეტრე ლარაძის მოგონილია. საინტერესოა, რომ პეტრე ლარაძემ „ყარიბი“ თავად უწოდა საკუთარ თავს. კერძოდ, „დილარიანში“ მას გამოუყენებია ოცმარცვლიანი საზომი, მაგრამ ჩახრუხაულისაგან განსხვავებული, თითოეული ტაეპი სამ ნაწილად იყოფა, რომელშიც ორ ნაწილს ერთნაირი დაბოლოება აქვს; რაც შეეხება რითმას, გართიმულია მთლიანად სტროფი. იგი არკვევს, რომ ეს თხზულება პეტრე ლარაძეს უნდა დაემთავრებინა 1833 წლამდე (თაყაიშვილი 1968: 166). პეტრე ლარაძე 1837 წელს გარდაცვლილა. ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს ლარაძეთა გვარის, ჩამომავლობის, წარმომავლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ იგი მეფეებთან დაახლოებული პირი ყოფილა. მას შემდეგ, რაც ქართველ მეფეთა ოჯახები და შთამომავლები რუსეთში გადაასახლეს, ისიც მათთან ერთად წასულა, სიახლოვე ჰქონია ქართველ ბატონიშვილებთან – იოანესთან, თეიმურაზთან; განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობა თეიმურაზ ბატონიშვილთან ჰქონია. უნდა აღინიშნოს, რომ პეტრე ლარაძის მემკვიდრეობა მონოგრაფიულად დაამუშავა იზოლდა ნაქაძემ, მაგრამ, დასაძინა, რომ იგი ისე წავიდა ჩვენგან, მონოგრაფია არ გამოუქვეყნებია, ცალკეული საკითხის შესახებ შექმნილი სტატიების გარდა.

Varia. მის არქივში დაცულია ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა XIX-XX სს. ცნობილ თუ შედარებით ნაკლებად ცნობილ პიროვნებებთან; მისი ადრესატები იყვნენ: ნიკო მარრი, ივანე ჯავახიშვილი, ვუკოლ ბერიძე, შალვა აფხაიძე, რაფიელ ერისთავი, ნამეტია და ვალოდია გოგუაძეები, შერმადინ ონიანი, ანტონ კელენჯერიძე, ვასილ კარბელაშვილი, ნიკოლოზ ვესელოვსკი, ნიკო კეცხოველი, კირიონ ეპისკოპოსი, გიორგი ლეონიძე, პეტრე მირიანაშვილი, მიხეილ მაჩაბელი, პაულ პეეტერსი, ირ. სონლულაშვილი, ემილ ტეცა, პრასკოვია სერგეის ასული უვაროვა, იაკობ ფანცხავა, ივანე ქავთარაძე, აკაკი შანიძე, მოსე ჯანაშვილი, დამიანე ჯგუშია, პარიზიდან გაგზავნილი წერილი თსუ რექტორს (1936 წ. 16 მარტი) და სხვა.

ექვთიმეს არქივში ინახება მისადმი გაგზავნილი პირადი წერილები, რომელთა ავტორები არიან: იუსტინე აბულაძე, ზურაბ ავალიშვილი, კოტე აფხაზი, კონსტ. ამირეჯიბი, არქიმანდრიტი ამბროსი, გიორგი ამილახვარი, ივანე და ლუარსაბ ანდრონიკაშვილები, კ. გამსახურდია, ვლ. ბენეშევიჩი, ვასილ ბარტოლდი, ვუკოლ ბერიძე, რ. ბლეიკი, ეკ. გაბაშვილი, პართენ გოთუა, გიორგი გეტმანი, კონსტ. გვარამაძე, იაკობ გოგებაშვილი, ფილ. გოგინაშვილი, სერგი გორგაძე, ლისა გოთუა (ექვთიმეს და), დიმ. გორდევი, თათარყან დადეშქელიანი, ბარონ დე ბაი, გიგო დიასამიძე, ნ. ვესელოვსკი, პ. ინგოროყვა, დ. კაკაბაძე, ანატოლი კალგინი, პ. კარბელაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ბ. კუფტინი, კ. კეკელიძე, კირიონ კათალიკოსი, კონსტ. მამაცაშვილი, იოსებ მეგრელიძე, სოფიო და იური მარები, მისი ნათესავები პოლტორაცკეები, ვ. ნოზაძე, თამარ და აკაკი პაპაევი, ოლივერ უორდროპი, ჟ. ტიბო, პრასკოვია უვაროვა, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, ს. შულგინი, ს. ყაუხჩიშვილი, დიმ. შევარდნაძე, ი. ჯავახიშვილი...

როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი XIX საუკუნუს II ნახევრის ლიტერატურულ ცხოვრებაზე საუბრობს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვანო მაჩაბლის თხზულებებზე. ზემოთ აღვნიშნე, რომ ექვთიმე თაყაიშვილი შესანიშნავი, ენაწყლიანი მოსაუბრეა, რაც მის მოგონებებს აშკარად ატყვევიათ. მას ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით არაჩვეულებრივი მოგონებები აქვს. ილიას პიროვნულ თვისებებს, ხასიათს, დამოკიდებულებას საზოგადოებრივი საქმიანობისადმი – ყოველივეს დეტალურად აგვიწერს. უაღრესად საინტერესოა მისი მონათხრობი დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვასთან დაკავშირებით. მთანმინდაზე დასაფლავებისას პირველი სიტყვა აკაკი წერეთელმა წარმოთქვა და დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნა: ის „მშვენიერი ლექსი რომ აქვს, ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, მაშინ არ უთქვამს, მერმე დანერა. დიმიტრი ყიფიანს კი ჰგულსხმობდა შიგ!" (თაყაიშვილი 1968: 242)). როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სამგლოვიარო მიტინგზე ილიას სიტყვით გამოსვლასაც ელოდნენ, მაგრამ ილიას ახლო წრეში უთქვამს, „რა ამბავსაც დღეს აქ

ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არ სჯობიაო“ (თაყაიშვილი 1968: 242). ილიას ეს სიტყვები ეხმიანება გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გამოთქმულ სიბრძნეს: „ბრძნად მეტყველება ვეცხლი არს წმიდაჲ, დუმილი – ოქროჲ რჩეულ“. ამით ილიას სახეს ამკობდა და უჩვენებდა, როგორ ესმოდა ბუმბერაზ მწერალსა და მოაზროვნეს დუმილის ესთეტიკა.

ექვთიმე თაყაიშვილი მეორე ფაქტსაც აღგვინერს ილიას სიტყვის შესახებ სხვა სამგლოვიარო მიტინგთან დაკავშირებით. გელათის მონასტერში გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვაზე ილიას სიტყვით გამოსვლა განზრახული არ ჰქონია, მაგრამ, როცა მას სიტყვის წარმოთქმა სთხოვეს, არაჩვეულებრივი სიტყვა წარმოთქვა და შეაფასა გაბრიელ ქიქოძის მოღვაწეობა. ექვთიმე თაყაიშვილი გულისტკივილით დეტალურად მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძესა და ვანო მაჩაბელს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზეც. იგი აღნიშნავს კიდევ, რომ მათი ამგვარი დაპირისპირებული ურთიერთობა საქართველოსთვის ნამგებიანი იყო. თავის მოგონებებში ექვთიმე თაყაიშვილმა გააცოცხლა ილიას გარემო, დაახასიათა ის პიროვნებები, რომლებსაც ილიასთან ჰქონდათ ურთიერთობები, როგორც მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებიდან, ასევე გლეხებიდან და მუშებიდან. მანვე დეტალურად გვიამბო ილიასა და ივანე პოლტორაცკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ეს ის ივანე პოლტორაცკია, რომელმაც ილიას თხზულებები თარგმნა რუსულ ენაზე, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსანი“. ილიას ძალიან მძიმედ განუცდია ივანე პოლტორაცკის გარდაცვალება, რომლის დაკრძალვას შემთხვევის გამო ექვთიმე თაყაიშვილი ვერ დასწრებია, მაგრამ ეკატერინე გაბაშვილმა უამბო, თუ როგორ ცხარედ დაიტირა ილიამ თავისი მეგობარი, რომელსაც ილია წინამძღვრიშვილთან ერთად თავისი ერთ-ერთი საუკეთესო პოემა „აჩრდილი“ მიუძღვნა.

ექვთიმე თაყაიშვილი ასევე დეტალურად მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის ილია წინამძღვრიშვილთან მეგობრობაზე. იგი გვიჩვენებს, თუ როგორი ღრმად მცოდნე იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა ილია ჭავჭავაძე და როგორ იყენებდა თავის ცოდნას უცხოელ პოლემისტთა წინააღმდეგ, რის ნიმუშადაც იგი ილიას „ქვათა ღალადს“ ასახელებს. მისი შეფასებით, ეს არის „შესანიშნავი ოსტატური პოლემიკური ნაწარმოები, მწვავე სატირითა და იუმორით აღსავსე. იგი მიმართულია უმთავრესად პატრიარქისა და ზოგი სხვა ავტორის წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ლამობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას“ (თაყაიშვილი 1968: 269).

ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს ილიასა და აკაკის დამოკიდებულების შესახებ და ამბობს, რომ მათ ერთმანეთისადმი უაღრესად დიდი პატივისცემა ჰქონდათ. თუმცა, შეცდომას მაშინვე შენიშნავდნენ ერთმანეთს და მიუთითებდნენ ხოლმე. ასე იყო „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით. აკაკის მიერ წაკითხული ლექციის დედააზრი, რომ ტარიელი ქართლელის ტიპს წარმოადგენს, ავთანდილი – იმერლისას, ფრიდონი – მეგრელისას, ეკუთვნოდა ნიკო დადიანს. ეს მოსაზრება ექვთიმე თაყაიშვილს მოუსმენია ქუთაისში,

ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი შეკრების დროს, როდესაც იგი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. აკაკიმ თავისი ლექციები ნაიკითხა 1886 წელს, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი იყო. არდადეგებზე ჩამოსულ ექვთიმეს აკაკის ეს ლექცია მოუხმენია, რის შესახებაც იგი აღნიშნავს, რომ „აკაკიმ ნიკო დადიანის დედააზრი განავრცო და გაალამაზა. რასაკვირველია, ილია მართალია, რომ რუსთაველის მიერ დახატული მსოფლიო მნიშვნელობის გამრების უბრალო ეთნოგრაფიულ ტიპებად აღიარება შეუძლებელია. მაგრამ ხელალებით არც იმის თქმა არ შეიძლება, რომ ასე თუ ისე რამდენიმედ მაინც ტარიელის ტიპი ქართლელს არ მოგვაგონებს და ავთანდილისა – იმერელს“ (თაყაიშვილი 1968: 280). რაც მთავარია, ილია აკაკის მოხსენებას თავად არ დასწრებია და მისი შინაარსი სხვათა გადმოცემით იცოდა. მიუხედავად შეხედულებათა წინააღმდეგობისა, ილიასა და აკაკის ერთმანეთის მემკვიდრეობა, შემოქმედება და ყოველი გამოსვლა დადებითად ჰქონდათ შეფასებული.

ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში აკაკის საოცარი სიტბოთი და სიყვარულით იხსენებს. მის აბურდულ ცხოვრებაზეც ამახვილებს ყურადღებას. საინტერესო ისაა, რომ აკაკი წერეთელმა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება სწორედ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით. ასევე საინტერესო მოგონებები აქვს გიორგი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის შესახებ. თუმცა, ილიასა და აკაკის შესახებ მოგონებებთან შედარებით ესენი უფრო მოკრძალებულია.

ექვთიმეს ძალიან უყვარდა თავისი სიყრმის მეგობარი ნიკო მარრი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნიკო მარრის სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენა ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაცაა, ისევე როგორც თავად ექვთიმე თაყაიშვილის ისტორიულ-ფილოლოგიური და არქეოლოგიური მოღვაწეობაა ნიკო მარრის შთაგონებული. მარრს ექვთიმემ ურჩია, რომ საქართველოში არ ჩამოსულიყო, რადგან აქ არ იყო სათანადო პირობები სამეცნიერო მუშაობისათვის. ამიტომ მისთვის, მისი ნიჭის პატრონისთვის პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენა და იქ მუშაობა სჯობდა. იგი იხსენებს აგრეთვე ალექსანდრე ცაგარელისა და ნიკო მარრის ურთიერთობებს. როდესაც მარრმა თავისი ცნობილი ნაშრომი „მეხოტბეები“ დაწერა, ცაგარელმა ნიკო მარრი არ მიიჩნია ოქროს მედლის ღირსად, იგი ძლივს დაიყოლიეს ვერცხლის მედლის მიცემაზე. 1902 წელს ნიკო მარრმა, მართალია, გადამუშავებული, მაგრამ ძირითადად სწორედ ის ნაშრომი გამოსცა, რომელიც ცაგარელმა არ მიიჩნია დასაჯილდოებელ ნაშრომად (მარრი 1902). ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ მშვენიერი ნაშრომი გამოვიდაო. შემდეგშიც, როდესაც ნიკო მართან დაკავშირებით მას პოლემიკა მოუხდა გვაზავასთან და სტატიების ციკლიც გამოაქვეყნა ამასთან დაკავშირებით, გ. გვაზავა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და თავისი სიყრმის მეგობრის სამეცნიერო კონცეფციები დაიცვა. კამათის საგანი ძირითადად რუსთაველოლოგიური და ლინგვისტური პრობლემატიკა იყო,

რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. ექვთიმე თაყაიშვილი პარიზიდან გამოეხმაურა მამა-შვილის – ნიკო და იური მარრების გარდაცვალებას, მათ სახელზე დაწერილ ნეკროლოგებში შეაფასა მათი ღვაწლი და დამსახურება ქართული მწერლობისა და კულტურის წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1917 წელს გამოსაცემად დავით კარიჭაშვილთან ერთად იმუშავა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებზე და მოამზადა ბარათაშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებული, სადაც გამოაქვეყნა ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების ხელნაწერთა მიმოხილვა; ეს იყო ეკატერინე მიხეილის ასულ ერისთავის გამოცემა დავით კარიჭაშვილთან ერთად. შენიშვნაში ნათქვამია, რომ ბარათაშვილის ლექსები, „ბედი ქართლისა“, „წერილები“ გვიან გამოვიდა, 1922 წელს სამსონ ფირცხალავას რედაქციით და ექვთიმე თაყაიშვილის სტატია „ბარათაშვილის ავტოგრაფები“ სწორედ აქ დაიბეჭდა (ე. ი. 1922 წელს).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ექვთიმე თაყაიშვილმა უდიდესი ძალისხმევით იკვლია ქართული ლიტერატურის კარდინალური საკითხები და თავისი შეხედულებები შემოგვთავაზა, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა. მან რამდენიმე მიმართულებით წარმართა თავისი ფილოლოგიური ინტერესები, კერძოდ, ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები შეისწავლა კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით, აღწერა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერები და ნიგნები, გამოამზეურა მანამდე უცნობი თხზულებები, გამოსცა და გამოკვლევები დაურთო ქართული ლიტერატურის ძეგლებს, კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, სახოტბო პოეზიის ნიმუშებს, XVII-XVIII საუკუნეების ქართულ და სხვა ენებიდან თარგმნილ თხზულებებს, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის რუსთველოლოგიური პრობლემატიკის კვლევაში. ამიტომ ექვთიმე თაყაიშვილის ლიტერატურათმცოდნეობით-სამეცნიერო შრომებს ვერც ერთი ფილოლოგი-მკვლევარი გვერდს ვერ აუგლის.

ლიტერატურა

1. აბულაძე 1964: აბულაძე ილ., „ვეფხისტყაოსნის“ ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, ჟურნ. „მაცნე“, 1964, №3.
2. აბულაძე... 1957: „რუსუდანიანი“, ილ. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.
3. ამირანაშვილი 1966: ამირანაშვილი შ., „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება: მინიატურები, შესრულებული XVI-XVIII სს. თბ., 1966.
4. არქიმანდრიტი ამბროსი 1914-1915: არქიმანდრიტი ამბროსი, ჭელიშური ვარიანტი, კრებ.: ძველი საქართველო, IV, თბ., 1914-1915.

5. **ბარამიძე 1966:** ბარამიძე ალ., ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966.
6. **ბარამიძე 1968:** ბარამიძე ალ., ექვთიმე თაყაიშვილი, წიგნში: აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, სტატიების კრებული, თბ., 1968.
7. **ფერემ მცირე 1959:** ფერემ მცირე, „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ბრეგაძემ, 1959.
8. **ზარიძე 2002:** ზარიძე ხ., „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია, თბ., 2002.
9. **თაყაიშვილი 1890:** თაყაიშვილი ექ., სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან, ტფილისი, 1890.
10. **თაყაიშვილი 1891:** ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ექ. თაყაიშვილისა, ტფილისი, 1891.
11. **თაყაიშვილი 1899:** „მელის წიგნი“ ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანისა, სომხურით ნათარგმნი, ექ. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1899.
12. **თაყაიშვილი 1900:** თაყაიშვილი ე. მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტებმა თუ არა? ჟურნ. „მოამბე“, №2, 1900.
13. **თაყაიშვილი 1903:** თიმსარიანი, თარგმნილი სპარსულიდან მეფის თეიმურაზის მიერ. ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, ტფილისი, 1903.
14. **თაყაიშვილი 1904:** თაყაიშვილი ექ., სახის მეტყველი ანუ ფიზიოლოგი, ქართული ტექსტი შატბერდის კრებულიდან (X ს.), ტფილისი, 1904.
15. **თაყაიშვილი 1909:** თაყაიშვილი ექ., ძველი საქართველო, I, ტფილისი, 1909.
16. **თაყაიშვილი 1914:** თაყაიშვილი ექ., ძველი საქართველო, III, ტფილისი, 1914.
17. **თაყაიშვილი 1917:** ერთი ყალბი დოკუმენტის გამო შოთა რუსთაველის შესახებ, გაზ. „საქართველო“, №22, 1917.
18. **თაყაიშვილი 1918:** თაყაიშვილი ექ., ლაბეჭინის ეკლესიის სახარება, ჟურნ. „პრომეთე“, №1, 1918.
19. **თაყაიშვილი 1935:** თაყაიშვილი ექ., ელენე თარხან-მოურავისეული სურათებიანი ხელნაწერი, გაზ.: „საქართველო“, პარიზი, ოქტომბერი, №118, 1935.
20. **თაყაიშვილი 1938:** თაყაიშვილი ექ., ჯვრის მონასტრისეული ტყავის ხელნაწერი „თთვენი“ ანუ საგალობელნი მეთერმეტე საუკუნისა, გაზ. „საქართველო“, პარიზი, 1938.
21. **თაყაიშვილი 1953:** თაყაიშვილი ექ., აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეულ ხელნაწერს, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.17-B, 1953.
22. **თაყაიშვილი 1962:** თაყაიშვილი ექ., ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, ჟურნ. მნათობი, №2, 1962.
23. **თაყაიშვილი 1966:** აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, სტატიების კრებული, თბ., 1966.
24. **თაყაიშვილი 1968:** თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968.

25. თაყაიშვილი 1991: თაყაიშვილი ექ., ემიგრანტული ნაშრომები, I, სერიით: „დაბრუნება“, გურამ შარაძის რედაქციით, თბ., 1991.
26. კარბელაშვილი 1977: კარბელაშვილი მ., „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის, თბ., 1977.
27. კეკელიძე 1960: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960.
28. კეკელიძე 1945: კეკელიძე კ., გიმნოსოფისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945.
29. ექვთიმე თაყაიშვილის არქივი 1972: აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ელენე კელენჯერიძემ, თბ., 1972.
30. ლენგი 1957: ლენგი დ., ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ჟურნ. „ცისკარი“, 1957, №4.
31. ლოლაშვილი 1956: ლოლაშვილი ივ., ძველი ქართველი მებოტბენი, I, თბ., 1956.
32. ლოლაშვილი 1964: ლოლაშვილი ივ., ძველი ქართველი მებოტბენი, II, თბ., 1964.
33. ლომთათიძე 2011: ლომთათიძე გ., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 2011.
34. მასალები 1939: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 2, თბ., 1939.
35. მეგრელიძე 1989: მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989.
36. სულავა: სულავა ნ., ორი მიქაელი ძველ ქართულ მწერლობაში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2003, №1-4, გვ. 33-51.
37. ჟორდანია 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დანყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფ. 1897.
38. ქურციკიძე 2007: განძთა ქვაბი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ციალა ქურციკიძემ, თბ., 2007.
39. ყუბანეიშვილი 1959: ყუბანეიშვილი ს., „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობა, თბ., 1959.
40. შანიძე 1975: შანიძე ა., ვახტანგის დედანი „ვეფხისტყაოსნისა“, ნიგნში: შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1712, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბ., 1975.
41. შატბერდის კრებული 1979: შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
42. ცაიშვილი 1963: ცაიშვილი ს., „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციები, თბ., 1963.
43. ცაიშვილი 1986: ცაიშვილი ს., წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986.
44. ცაიშვილი 1984: ცაიშვილი ს., „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია. წერილები და გამოკვლევები, თბ., 1984.
45. ნაქაძე 2004: ნაქაძე ი., „ვეფხისტყაოსანი“ – პეტრე ლარაძის შემოქმედების ერთ-ერთი წყარო, კრებ.: რუსთველოლოგია, III, თბ., 2004.
46. ჯანაშვილი 1891: აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ქრონიკისა და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ, ტფ., 1891.

47. **Такайшвили 1898:** Такайшвили Е., Заметки о двух рукописях апокрифического характера, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXIV, Тифлис, 1898.
48. **Такайшвили 1904:** Такайшвили Е., Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», Т. I, Вып. 1-4. Тб., 1904.
49. **Такайшвили 1912:** Такайшвили Е. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», Т. II. Вып. 1-4. Тб., 1912.
50. **Такайшвили 1916:** Такайшвили Е., Адышское Евангелие 897 г., Материалы по Арх. Кавказа, изд. Московского Арх. Общества, вып. XIV, М., 1916.